

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული
ასტროფიზიკური ობსერვატორია (აბასთუმანი)

LXVI

ასტრონომიული
კალენდარი
(ნელინდელი)

2026



ინტელექტი
თბილისი – 2025

„ასტრონომიული კალენდარი“ გამოიცემა 1961 წლიდან.

შემდგენელი:

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორია (აბასთუმანი),

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საკავშირო ასტრონომიულ-გეოდეზიური საზოგადოების თბილისის
საქალაქო განყოფილება (1961-1992 წწ).

შემდგენელი:

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური
ობსერვატორია (აბასთუმანი)

სარედაქციო კოლეგია:

მ. საბაშვილი (პ/მგ. რედაქტორი)

გ. რამიშვილი ა. როგავა,

ნ. საბაშვილი ე. ჯანიაშვილი

ISSN 0134-9856

ISBN

სამოცდამეექვსე გამოცემისათვის

წინასიტყვაობა

ასტრონომიული კალენდარი (წელიწდეული) მოიცავს ყველა უმთავრეს ცნობას, რომელიც ჩვეულებრივ, ამგვარ ცნობარებში მოიპოვება. ესენია: მზის, მთვარისა და პლანეტების ამოსვლა-ჩასვლის წინასწარ გამოთვლილი მომენტები მთელი წლისათვის, მათი მდებარეობა ცაზე, მთვარის ფაზები, მზისა და მთვარის დაბნელებანი, კომეტების და მეტეორული ნაკადების გამოჩენა, დროის საადრიცხვო და გარემოში ორიენტირებისათვის მონაცემები და სხვადასხვა ციური მოვლენების დაკვირვებასთან დაკავშირებული ცნობები. კალენდრის შესავალ ნაწილში – „როგორ ვისარგებლოთ კალენდრით“ – მკითხველი ყველა აუცილებელ განმარტებას იპოვის.

გამოთვლების ძირითადი ნაწილი შესრულებულია აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლების გ. რამიშვილის, ნ. საბაშვილის და ე. ჯანიაშვილის მიერ. კალენდარს თან ერთვის რამდენიმე სამეცნიერო-პოპულარული წერილიც.

ხელნაწერი მოამზადა, ტექსტი კომპიუტერზე ააწყო და საბოლოო კორექტურა შეასრულა ნ. საბაშვილმა.

მ. საბაშვილი
2025 წ.

2026
წლის დროების დასაწყისი
(თბილისის საშუალო დროით)

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი	–	20 მარტი	17 ^h 44 ^m
ზ ა ფ ხ უ ლ ი	–	21 ივნისი	11 ^h 21 ^m
შ ე მ ო დ გ ო მ ა	–	23 სექტემბერი	3 ^h 06 ^m
ზ ა მ თ ა რ ი	–	21 დეკემბერი	23 ^h 48 ^m

დგერეტულ დროზე გადასასვლელად თბილისის საშუალო დროს უნდა დაემატოს 1 საათი და 1 წუთი.

საქართველოს ტერიტორია ვრცელდება აღმოსავლეთის გრძედით 40°.0-დან 46°.7-მდე, ჩრდილოეთის განედით 41°.1-დან 43°.6-მდე.

ზოგიერთი ქალაქის გეოგრაფიული კოორდინატები

ქალაქი	გრძედი	განედი	ქალაქი	გრძედი	განედი
	ო	ო		ო	ო
აბასთუმანი	42.8	41.8	ლაგოდეხი	46.3	41.8
ახალქალაქი	43.5	41.4	მესტია	42.7	43.1
ახალციხე	43.0	41.6	ოზურგეთი	42.0	41.9
ბათუმი	41.6	41.6	სამტრედია	42.3	42.2
ბოლნისი	44.5	41.4	სახჩერე	43.4	42.4
ბორჯომი	43.4	41.8	სოხუმი	41.0	43.0
გორი	44.1	42.0	ფოთი	41.7	42.1
ღუშეთი	44.7	42.1	ქუთაისი	42.7	42.3
ზუგდიდი	41.9	42.5	ყაზბეგი	44.6	42.6
თბილისი	44.8	41.7	ცხინვალი	44.0	42.2
თელავი	45.5	41.9	ხაშური	43.6	42.0

ტაბელ-კალენდარი

2026

	იანვარი				თებერვალი				მარტი			
ორშაბათი	5	12	19	26	2	9	16	23	2	9	16	23 30
სამშაბათი	6	13	20	27	3	10	17	24	3	10	17	24 31
ოთხშაბათი	7	14	21	28	4	11	18	25	4	11	18	25
ხუთშაბათი	1	8	15	22 29	5	12	19	26	5	12	19	26
პარასკევი	2	9	16	23 30	6	13	20	27	6	13	20	27
შაბათი	3	10	17	24 31	7	14	21	28	7	14	21	28
კვირა	4	11	18	25	1	8	15	22	1	8	15	22 29
	აპრილი				მაისი				ივნისი			
ორშაბათი	6	13	20	27	4	11	18	25	1	8	15	22 29
სამშაბათი	7	14	21	28	5	12	19	26	2	9	16	23 30
ოთხშაბათი	1	8	15	22 29	6	13	20	27	3	10	17	24
ხუთშაბათი	2	9	16	23 30	7	14	21	28	4	11	18	25
პარასკევი	3	10	17	24	1	8	15	22 29	5	12	19	26
შაბათი	4	11	18	25	2	9	16	23 30	6	13	20	27
კვირა	5	12	19	26	3	10	17	24 31	7	14	21	28
	ივლისი				აგვისტო				სექტემბერი			
ორშაბათი	6	13	20	27	3	10	17	24 31	7	14	21	28
სამშაბათი	7	14	21	28	4	11	18	25	1	8	15	22 29
ოთხშაბათი	1	8	15	22 29	5	12	19	26	2	9	16	23 30
ხუთშაბათი	2	9	16	23 30	6	13	20	27	3	10	17	24
პარასკევი	3	10	17	24 31	7	14	21	28	4	11	18	25
შაბათი	4	11	18	25	1	8	15	22 29	5	12	19	26
კვირა	5	12	19	26	2	9	16	23 30	6	13	20	27
	ოქტომბერი				ნოემბერი				დეკემბერი			
ორშაბათი	5	12	19	26	2	9	16	23 30	7	14	21	28
სამშაბათი	6	13	20	27	3	10	17	24	1	8	15	22 29
ოთხშაბათი	7	14	21	28	4	11	18	25	2	9	16	23 30
ხუთშაბათი	1	8	15	22 29	5	12	19	26	3	10	17	24 31
პარასკევი	2	9	16	23 30	6	13	20	27	4	11	18	25
შაბათი	3	10	17	24 31	7	14	21	28	5	12	19	26
კვირა	4	11	18	25	1	8	15	22 29	6	13	20	27

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, ამიერიდან დაკანონებულია ქვემოთ ჩამოთვლილი უქმე დღეები, რომლებშიც საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არ მუშაობენ: 1 და 2 იანვარს – ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში; 7 იანვარს – ქრისტეშობის დღეს; 19 იანვარს – ნათლისღებას; 3 მარტს – დედის დღეს; 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს; 9 აპრილს – სამშობლოსათვის დადუპულთა მოგონების დღეს; საადღგომო დღეებში – დიდ პარასკევს, დიდ შაბათს, იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღეს; მიცვალებულთა მოხსენიების დღეს – აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს (თარიღები გარდამავალია); 9 მაისს – ფაშიზმზე გამარჯვების დღეს; 12 მაისს – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეს; 17 მაისს – ოჯახის სიწმინდის დღეს; 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს; 28 აგვისტოს – ღვთისმშობლის მიძინების დღეს (მარიამობას); 14 ოქტომბერს – მცხეთობის (სვეტიცხოველობის, კვართის დღესასწაულის) დღეს; 23 ნოემბერს – გიორგობის დღეს.

ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები

 მზე	☿ შემოდგომის დღელმეტოლობის (ზუნიობის) წერტილი
☾ მთვარე	E აღმოსავლეთის წერტილი
♈ მერკური	SE სამხრეთ-აღმოსავლეთი
♀ ვენერა	S სამხრეთის წერტილი
♄ დედამიწა	SW სამხრეთ-დასავლეთი
♂ მარსი	W დასავლეთის წერტილი
♅ იუპიტერი	NW ჩრდილო-დასავლეთი
♄ სატურნი	N ჩრდილოეთის წერტილი
 ურანი	
 ნეპტუნი	
● ახალმთვარეობა	NE ჩრდილო-აღმოსავლეთი
☾ მთვარის პირველი მეოთხედი	a წელიწადი
○ სავსემთვარეობა	d დღე-ღამე
☾ მთვარის უკანასკნელი მეოთხედი	h საათი
Z ზენიტური მანძილი	m წუთი ანუ მინუტი
A აზიმუტი	s წამი ანუ სეკუნდი
φ გეოგრაფიული განედი	o გრადუსი
λ გეოგრაფიული გრძედი	′ წუთი (რკალისა)
α პირდაპირი აღელუნა	″ წამი (რკალისა)
δ დახრილობა	
☾ გაზაფხულის დღელმეტოლობის (ზუნიობის) წერტილი	

გერმანული ანბანი

A, a ალფა	H, h ეტა	N, n ნიუ	T, t ტაუ
B, b ბეტა	Θ, θ თეტა	Ξ, ξ ქსი	Υ, υ იპსილონ
Γ, γ გამა	I, i იოტა	O, o ომიკრონ	Φ, φ ფი
Δ, δ დელტა	K, k კაპა	Π, π პი	Χ, χ ხი
E, e ეფილონი	Λ, λ ლამბდა	P, ρ რო	Ψ, ψ ფსი
Z, z ძეტა	M, μ მიუ	Σ, σ სიგმა	Ω, ω ომეგა

როგორ ვისარგებლოთ კალენდრით

კალენდარში, სხვა ცნობებთან ერთად, მოცემულია მზის, მთვარის და პლანეტების კოორდინატები და სხვა სიდიდეები დროის ფიქსირებული მომენტებისათვის. ეს მომენტები უმთავრესად წარმოადგენენ ყოველი დღე-ღამის დასაწყისთა მიმდევრობას; ნელაცვალებადი სიდიდეებისთვის (პლანეტათა კოორდინატები) მომენტები აღებულია ყოველ მე-7 დღე-ღამეზე. ასე აღებული მომენტები წარმოადგენენ ცხრილების არგუმენტებს, განსაზღვრავენ ცხრილების ინტერვალებს და საშუალებას გვაძლევენ ვიპოვოთ აღნიშნული ცვალებადი სიდიდეების მნიშვნელობები წლის ნებისმიერი დღისთვის და ნებისმიერი მომენტისთვის ინტერპოლაციის წესით.

დროის აღრიცხვის შესახებ

კალენდარში რიგი მოვლენებისა მოცემულია თბილისის საშუალო დროით, ზოგი – მსოფლიო დროით, ე.წ. დედამიწის დინამიკური ან ვარსკვლავიერი დროით. სშირად პრაქტიკული ასტრონომიის ამოცანების გადაწყვეტისას მოითხოვება ერთი სისტემის დროის გადაყვანა მეორე სისტემის დროში, ამიტომ, მოკლედ გავეცნოთ დროის აღრიცხვისა და დროს სხვადასხვა სახეობათა ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთ საკითხს.

დროის მუდმივი ერთეული, რომელსაც თვით ბუნება იძლევა, ვარსკვლავიერი დღე-ღამეა ანუ დროის ის ხანგრძლივობა, რომელშიაც ხდება დედამიწის ერთი სრული შემობრუნება თავისი ღერძის გარშემო. ეს შემობრუნება განისაზღვრება გაზაფხულის

ბუნიობის წერტილის მიმართ, რომლის ზედა კულმინაცია ვარსკვლავიერი დღე-ღამის დასაწყისად მიიღება.

მაშასადამე, **ვარსკვლავიერი დღე-ღამე დროის ის ინტერვალია, რომელიც გაივლის გაზაფხულის ბუნიობის წერტილის ორ თანმიმდევრო ზედა კულმინაციას შორის.** ვარსკვლავიერი დღე-ღამის დასაწყისიდან მოცემულ მომენტამდე განვლილ დროს, გამოხატულს ვარსკვლავიერი საათებით, წუთებით და წამებით, ეწოდება ვარსკვლავიერი დრო.

მოცემულ მომენტში ზედა კულმინაციაში მყოფი ვარსკვლავის პირდაპირი აღვლენა ეტოლება ვარსკვლავიერ დროს. ამის გამო ცის მერიდიანზე ისეთი ვარსკვლავის გავლის მომენტის ასტრონომიული დაკვირვებით დადგენა, რომლის პირდაპირი აღვლენა ცნობილია, წარმოადგენს პირველწყაროს ზუსტი დროის მისაღებად.

ადამიანის ყოველდღიური საქმიანობა კავშირშია მზის ამოსვლა-ჩასვლასთან, მის დღეღამურ და წლიურ მოძრაობასთან. ცხადია, დრო უნდა იზომებოდეს მზის მიხედვით. მზე თავისი ხილული წლიური მოძრაობისას ვარსკვლავიერ ცაზე ერთ დღე-ღამეში გადაადგილდება აღმოსავლეთისკენ დაახლოებით 1°-ით. ამის გამო მზე, ვარსკვლავებთან შედარებით, კულმინაციას აგვიანებს ყოველდღიურად დაახლოებით 4 წუთით. მზის ცენტრის ორ თანმიმდევრო ზედა კულმინაციას შორის დროის ხანგრძლივობას ეწოდება ჭეშმარიტი მზისიერი დღე-ღამე და იგი 4 ვარსკვლავიერი წუთით უფრო გრძელია ვარსკვლავიერ დღე-ღამეზე. ვარსკვლავებისა და მზის კულმინაციის მომენტთა შორის სხვაობა ყოველდღიურად იკრიბება და ერთ წელიწადში ნახრდი ერთ დღე-ღამეს გაუტოლდება.

მზის ხილული წლიური მოძრაობა ვარსკვლავიერ ცაზე უთანაბროა, ამიტომ ჭეშმარიტი დღე-ღამის სიდიდე არ არის მუდმივი. იგი მცირედ, მაგრამ მაინც იცვლება წლის განმავლობაში და თანაბრად მომუშავე საათს არ შეუძლია სწორად გვიჩვენოს ჭეშმარიტი დრო. მიზანშეწონილია დრო ავითვალოთ ისეთი წარმოსახვითი წერტილით (ე.წ. „საშუალო მზე“), რომელიც, ჭეშმარიტი მზისაგან განსხვავებით, მოძრაობს არა ეკლიპტიკაზე, არამედ ცის ეკვატორზე, ამასთან თანაბრად, და ვარსკვლავიერი ცის სრულ გარშემოვლას უნდება ზუსტად იმდენ ხანს, რამდენსაც ჭეშმარიტი მზე.

დროის ინტერვალს საშუალო მზის ორ ქვედა თანმიმდევრო კულმინაციას შორის ეწოდება საშუალო დღე-ღამე.

კალენდარში საშუალო დღე-ღამის დასაწყისად მიღებულია საშუალო შუაღამე – სამოქალაქო დღე-ღამის დასაწყისი, ე.ი. ის მომენტი, როცა საშუალო მზე იმყოფება ქვედა კულმინაციაში.

საშუალო დღე-ღამის ხანგრძლივობა მუდმივი ინტერვალია და ის მიღებულია დროის ძირითად საზომ ერთეულად. დიდი პერიოდის გასასზომად მოხერხებულია ტროპიკული წელიწადი – დროის ინტერვალი ჭეშმარიტი მზის ცენტრის ორ თანმიმდევნო გავლას შორის გაზაფხულის ბუნიობის წერტილზე.

სამოქალაქო წელთაღრიცხვის საფუძველს ტროპიკული წელიწადი წარმოადგენს, რომელიც 366.2422 ვარსკვლავიერ ან 365.2422 საშუალო დღე-ღამეს შეიცავს. აქედან ერთი საშუალო დღე-ღამე უდრის $366.2422/365.2422=1.002738$ ვარსკვლავიერ დღე-ღამეს, ანუ $24^{\circ}03'56''.5555$ -ს ვარსკვლავიერი დროით. ერთი ვარსკვლავიერი დღე-ღამე არის $365.2422/366.2422=0.997270$ საშუალო დღე-ღამე, ანუ $23^{\circ}56'04''.091$ საშუალო დროით.

ასეთი დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს ვარსკვლავიერი დროის ნებისმიერი ინტერვალი გადავიყვანოთ საშუალო დროის ერთეულებში და პირიქით. ამ დამოკიდებულებათა საფუძველზე შედგენილია გადასაყვანი ცხრილები (გვ. 101-102).

როცა ჩვენთან შუადღეა, მაშინ დედამიწის ზედაპირის მოპირდაპირე მხარეზე შუაღამეა. მაშასადამე, სხვადასხვა პუნქტის მერიდიანზე ერთ აბსოლუტურ მომენტში სხვადასხვა დროა და ამავე მომენტში ადგილობრივ დროთა სხვაობა ტოლია ამ პუნქტების გეოგრაფიულ გრძედთა სხვაობისა. ამგვარად, თუ დედამიწის ორი პუნქტი არ ძეგს ერთ მერიდიანზე, მაშინ ყოველ მათგანზე იქნება თავისი განსაკუთრებული დრო.

დედამიწის ზედაპირზე მოცემული პუნქტის დროს ეწოდება ამ პუნქტის ადგილობრივი დრო. მაგალითად: თბილისის, სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის, გრინვიჩის და სხვათა ადგილობრივი დრო.

გრინვიჩში გამავალი მერიდიანი, საერთაშორისო შეთანხმებით, მიღებულია საწყის ანუ ნულოვან მერიდიანად გეოგრაფიული გრძედის ათვლისას და ამ მერიდიანის საშუალო დროს ეწოდება მსოფლიო დრო.

1986 წლიდან ხილული გეოცენტრული ეფემერიდების ძირითად არგუმენტად, ადრე ხმარებული არგუმენტის – „ეფემერიდული დროის“ ნაცვლად, შემოღებულია არგუმენტი „დედამიწის დინამიკური დრო“. დროის ამ ახალი სკალის ნულ-პუნქტი არის 1977 1,0003725 იანვარი საერთაშორისო ატომური დროით 1977,

1°00'00" იანვრის მომენტში. ამ სკალაში დროის ერთეულია დღე-ღამე, რომელიც შეიცავს ვარსკვლავიერი დროის 86 400 წამს საშ. ზღვის დონეზე.

განსხვავება დედამიწის დინამიკურსა და მსოფლიო დროს შორის ცვალებადობს დროის მსვლელობაში, მაგრამ საერთოდ, ჩვენს ეპოქაში ეს განსხვავება ერთობ მცირეა, ამის გამო დედამიწის დინამიკური დროის არგუმენტით გამოთვლილი ციურ სხეულთა კოორდინატების რიცხვითი მნიშვნელობები ან სხვა მონაცემები იმ მონაცემებთან შედარებით, რაც მსოფლიო დროის არგუმენტიანაა მიღებული, იმდენად მცირედ განსხვავდება, რომ მარტივი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისას უმრავლეს შემთხვევაში ეს განსხვავება უგულებელსაყოფია.

საშუალო ადგილობრივი დროით სარგებლობა ყოველდღიურ ცხოვრებაში მოუხერხებელია, რადგანაც სხვადასხვა გეოგრაფიული გრძედის მქონე ყოველ ორ პუნქტში სხვადასხვა ადგილობრივი დროა. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად შემოიღეს ზოლური დრო. დედამიწის მთელი ზედაპირი დაიყო მერიდიანებით 24 ზოლად, ნულოვანიდან ოცდამესამემდე.

გრინვიჩის მერიდიანიდან დასავლეთით 7°5-ით და აღმოსავლეთით 7°5-ით დაშორებულ მერიდიანთა შორის მოთავსებული ზოლი მიღებულია ნულოვან ზოლად.

პირველი ზოლი ვრცელდება 7°5 გრძედის მქონე მერიდიანიდან 22°5 გრძედის მქონე მერიდიანამდე, მეორე – 22°5-დან 37°5-მდე და ა. შ. თითოეულ ზოლში მოქცეულ ყოველ პუნქტში მიღებულია ამ ზოლის ცენტრალური, შუაზე გამავალი მერიდიანის საშუალო დრო.

როგორც ჩანს, მოსაზღვრე ზოლთა ცენტრალური მერიდიანების მდებარეობა ერთიმეორისაგან 15°-ით განსხვავდება, ამიტომ ორ მეზობელ ზოლში საათის მაჩვენებელი ისარი განსხვავებას გვიჩვენებს ერთი საათით. მაგალითად, თუ გრინვიჩში (ნულოვან ზოლში) 9 საათია, ამ მომენტში პირველ ზოლში 10 საათია, მეორეში – 11 საათი და ა. შ.

ზოლების საზღვრები ყველგან როდი მიჰყვება მკაცრად მერიდიანებს. თუ სასაზღვრო მერიდიანი ქალაქს ან ერთგვარ ეკონომიკურ რაიონს კვეთს, მაშინ იმისთვის, რომ ერთსა და იმავე ქალაქში ან რაიონში სხვადასხვა დრო არ იხმარებოდეს, ზოლის საზღვარს მერიდიანიდან მოაშორებენ და ქალაქის ან რაიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ საზღვარს გააყოლებენ.

საბჭოთა კავშირში 1930 წელს გამოიცა დეკრეტი ზოლურ დროსთან შედარებით საათის ისრის ხელოვნურად ერთი საათით წინ გადაწევის შესახებ.

ამ გადაწყვეტილების მიზანი იყო ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების შედარებით ადრე დაწყება, რაც გამოიწვევდა დღის ნათელი პერიოდის გამოყენებას და ამით ერთგვარ ეკონომიკურ მოგებას ენერგიის წყაროების დაზოგვის თვალსაზრისით. ასე განსაზღვრულ დროს **დეკრეტული დრო ეწოდება.**

დეკრეტული დრო ხელოვნურადაა წინ წაწეული მზის მოძრაობაზე დამყარებულ დროსთან შედარებით და, როგორც გამოირკვა, მისით სარგებლობა უარყოფით ბიოლოგიურ ზემოქმედებებს იწვევს. ამას გარდა, საეჭვოა თვით რეფორმის ეკონომიკური ეფექტურობაც, რადგან ზომიერ სარტყელშიც კი და კერძოდ, საქართველოში, რომ აღარაფერი ითქვას ჩრდილოეთის რაიონებზე, სადაც ზამთრის დღეები უადრესად მოკლეა, წელიწადის საკმაოდ საგრძნობ პერიოდში დღის განათებული ნაწილი მნიშვნელოვნად ხანმოკლეა, ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური პერიოდის ხანგრძლივობა. მაშასადამე დღის საკმაოდ დიდ ნაწილში ცხოვრება მაინც გვიწევს ხელოვნური განათების პირობებში, რის გამო მოგება აქტიური ცხოვრების დილით ადრე დაწყების გამო ნეიტრალდება მისი გვიან ღამით დამთავრებით. ამას გარდა, კიდევ რომ ეფექტური იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების დაწყების პერიოდული ცვლილებები, იგი შეიძლება უმტკივნეულოდ განხორციელდეს სამუშაოს თუ სწავლის დაწყების საათის ოპერატიული ცვლილებებით, დროის ათვლის პრინციპის დაურღვევლად და საათის ისრის გაუმართლებელი გადაწევის გარეშე, რასაც უარყოფითი შედეგი მოაქვს სხვა მხრივაც – რთულდება დროის აღრიცხვა და წარსულის ამა თუ იმ ეპოქაში მომხდარ მოვლენათა მომენტების ფიზიკური დღე-ღამის დასაწყისის მიმართ ჭეშმარიტი განლაგების გამოთვლა, აგრეთვე სხვადასხვა წლების კალენდართა ურთიერთშესაბამისობის აღდგენა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წლის 20 ივნისს გააუქმა საქართველოს ტერიტორიაზე დეკრეტული დრო. 1994 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა, თითქოსდა ეკონომიკური მოსაზრებით, დეკრეტული დრო დროებით აღადგინა. 1998 წლის 29 მარტიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დეკრეტული დრო საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ გაუქმდა, მაგრამ იმავე წლის 14

ნოემბრიდან, მოსახლეობის ნაწილის ინტერესთა გათვალისწინებით, ისევ აღდგა.

მაგრამ საფიქრებელი იყო – და ამას განუწყვეტილად ითხოვდა ასტრონომიული საზოგადოებრიობაც – რომ ბუნებრივი დრო ოდესმე მაინც აღდგებოდა, რადგან იგი ყველაზე მეტად შეესაბამება ნებისმიერი ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას და, ამდენად, ყველაზე უკეთ შეესატყვისება ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ოპტიმალურად წარმართვასაც როგორც სახელმწიფოს ფარგლებში, ისე საერთაშორისო მასშტაბებშიც ქვეყნებს შორის სულ უფრო მზარდ კავშირთა გათვალისწინებით. ერთი შეხედვით სწორედ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა, რომლის N 177 ბრძანებით 2004 წლის 27 ივნისის დამის 3 საათიდან საქართველოს ტერიტორიაზე საათის ისრები 1 საათით უკან გადასწიეს. შეიძლება გვეფიქრა, რომ დეკრეტული დრო გაუქმდა, საფიქრებელი იყო – საბოლოოდ. მაგრამ 2005 წლის 30 ოქტომბერს ახალი ბრძანებით აღარ განხორციელდა ამ მომენტისათვის წინასწარ გათვალისწინებული საათის ისრის ერთი საათით უკან გადაწევა (იხ. ქვემოთ), ამჯერადაც ენერგიის დაზოგვის მოსაზრებათა მოშველიებით. ეს კი დეკრეტული დროის აღდგენის ტოლფასი იყო. როგორც ვხედავთ, დროის აღრიცხვის სფეროში არცთუ გამართლებული ექსპერიმენტები გრძელდება.

ანალოგიური ვითარებაა ე.წ. სეზონური დროების საკითხშიც, რომლის არსი ისაა, რომ წელიწადის სხვადასხვა სეზონში საათის ისრები რიგრიგობით იწევა ხან წინ, ხან უკან. ამ მხრივ მიღწეული ეკონომიკური ეფექტიც ისევე საეჭვოა, როგორც დეკრეტული დროის ზემოგანხილულ შემთხვევაში, და იგი არასოდეს არც ერთ ქვეყანაში ზუსტად არ დაუთვლიათ. ვერც შეძლებდნენ დათვლას, რადგან საათის ისრების წამდაუწუმ გადაწევის თანმხლები ფსიქოლოგიური დისკომფორტის უარყოფითი შედეგები უზარმაზარი კია, მაგრამ ძნელია ისინი რიცხვებით გამოიხატოს. ამდენად, საათის ისრის სეზონური გადაწევა-გადმოწევა უარყოფით მოვლენად მიგვანჩია. მაგრამ იგი შეთანხმებულად ხდება მსოფლიოს ქვეყნების საკმაოდ დიდ ჯგუფში და იქ დღემდე ძალაშია ხან ე.წ. ზამთრის, ხან კი ზაფხულის დრო. საქართველოშიც მრავალი წლის განმავლობაში მოქმედებდა წესი: ყოველი წლის მარტის თვის ბოლო კვირადღის დამის 2 საათიდან საათის ისარი გადაიწეოდა ერთი საათით წინ, ხოლო ოქტომბრის თვის ბოლო კვირადღის დამის 3 საათიდან – ერთი საათით უკან. ეს თითქოსდა საშუალებ

ბას გეაძლევედა უფრო მეტად გამოგვეყენებინა დღე-ღამის ნათელი ნაწილი, რითაც დაიზოგებოდა ენერგეტიკული რესურსები. თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლებოდა სამუშაო დროის რეგულირება საათის ისრების გადაწევის გარეშე. ძნელი განსაჭვრეტი იყო, რომელ სტრატეგიას აირჩევდა საქართველოს მთავრობა ამ მიმართულებით შემდგომში. მოხდა კი ის, რომ ამ საკითხს დღემდე აღარავინ დაბრუნებია. არსებული ვითარება იმას ნიშნავს, რომ 2004 წლის 27 ივნისის ღამის 3 საათიდან საქართველოში საზაფხულო დრო გაუქმებულია და მთელი წლის განმავლობაში ვიყენებთ ზოლურ-თან შედარებით 1 საათით წინ წაწეულ დროს.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

s – ადგილობრივი ვარსკვლავიერი დრო.

s₀ – თბილისის ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე (შუაღამეზე).

S – გრინვიჩის ვარსკვლავიერი დრო 0^h-ზე (შუაღამეზე).

M – მსოფლიო დრო.

n – ადგილობრივი საშუალო დრო.

D – დეკრეტული დრო.

N – ზოლის ნომერი (საქართველო III ზოლშია).

λ – ადგილის გრძედი.

n₀ – თბილისის საშუალო დრო.

საქართველოს ტერიტორიისათვის გვექნება შემდეგი და-
მოკიდებულებანი:

$$\text{I} \quad D=M+N+1=M+4^h$$

$$\text{II} \quad D=n+4^h-\lambda^h$$

$$\text{III} \quad n=M+\lambda^h$$

$$\text{IV} \quad n=D-4^h+\lambda^h$$

$$\text{V} \quad n_0=D-1^h$$

რიგი მოსაზრებების გამო კალენდრის სხვადასხვა წლების გამოშვებათა ცხრილებში ნახმარია ერთგან ერთგვარი, სხვაგან-სხვაგვარი დრო: მსოფლიო, დედამიწის დინამიკური, ადგილობრივი, თბილისის საშუალო და სხვ., რაც სათანადო ადგილებში აღნიშნულია. მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყროს ამ საკითხს, რათა ყოველთვის სწორად დაუკავშიროს სათანადო მოვლენა თუ მონაცემი დროს და მოახერხოს კიდევ მისი მიყვანა იმ დრომდე, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხმარობთ. გვახსოვდეს, რომ საინფორმაციო გამოშვებებში ნახსენები და, კერძოდ, რადიოთი გადმოცემული „მოსკოვის დრო“ იგივეა, რაც II ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრე-

ტული დრო (ე. წ. „ზამთრის“ სეზონში), ან ამავე მერიდიანის დეკრეტული პლუს ზაფხულის დრო (ე.წ. „ზაფხულის“ სეზონში). იმავე გამოცემებში ნახსენები „თბილისის დრო“ კი ქვეყანაში დეკრეტული დროის მოქმედების პერიოდებში წარმოადგენდა (მაშასადამე, ამჟამადაც წარმოადგენს) III ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დეკრეტულ დროს („ზამთრის“ სეზონში), ან ამავე მერიდიანის დეკრეტულ პლუს ზაფხულის დროს („ზაფხულის“ სეზონში, თუ საათის საგაზაფხულო წინწაწევა ხორციელდებოდა), დეკრეტული დროის გაუქმებულობის პერიოდებში კი „თბილისის დრო“ უბრალოდ ემთხვეოდა III ზოლის შუა მერიდიანის საშუალო დროს („ზამთრის სეზონში“) ან ერთი საათით წინ იყო მასზე („ზაფხულის სეზონში“). ამჟამად კი „თბილისის დრო“ მთელი წლის მანძილზე 1 საათით უსწრებს III ზოლის შუა მერიდიანის ადგილობრივ საშუალო დროს. უფრო გასაგებად თუ ვიტყვით, დეკრეტული და საზაფხულო დროების ერთდროული მოქმედების პირობებში თბილისში შუადღე „ზამთრის სეზონში“ დგებოდა „თბილისის დროით“ 13, „ზაფხულის სეზონში“ კი 14 საათზე. ამჟამად კი ჩვენს ქვეყანაში შუადღე მთელი წლის განმავლობაში თბილისის დროით 13 საათზე დგება.

ვიმეორებთ, 2004 წლის 27 ივნისის შემდეგ საათის ისრის სეზონური წინ და უკან გადაწევა შეწყვეტილია. ეს სიტუაცია შეიძლება განვიხილოთ ან როგორც დეკრეტული დროის არსებობა, მთელი წლის მანძილზე „ზამთრის“ დროის ფორმით, ან, როგორც დეკრეტული დროის გაუქმებულობა, მაგრამ მთელი წლის მანძილზე „ზაფხულის“ დროის მოქმედებით. ეს მხოლოდ ინტერპრეტაციის საკითხია. დეკრეტული და სეზონური დროების მიმართ საკუთარი პოზიცია მთავრობას აშკარა ფორმით ჯერაც არ გამოუხატავს, ამიტომ არაა ცხადი, საბოლოოა თუ არა არსებული მდგომარეობა. ის კი ევროპის ქვეყნებში არსებულისგან განსხვავებულია.

მზე

(გვ. 22-45). ლუწ გვერდებზე III, IV, V სვეტებში 41°, 42° და 43° გეოგრაფიული განედის მქონე პუნქტებისათვის მოცემულია მზის ამოსვლის, ხოლო VII, VIII, IX სვეტებში კი ჩასვლის მომენტები ამ პუნქტების საშუალო დროით. მზის ამოსვლის და ჩასვლის მომენტებად ითვლება მისი დისკოს ზედა კიდის ამოსვლისა და ჩასვლის მომენტები ჭეშმარიტ პორიზონტზე. ადგილის რეალური პორიზონტი ყოველთვის განსხვავდება ჭეშმარიტისაგან და, მაშა-

სადამე, მოცემულ ადგილას ამოსვლა-ჩასვლის ფაქტობრივი მომენტებიც რამდენიმე წუთით (მაღალი მთების სიახლოვეს შეიძლება 1 საათზე მეტითაც) განსხვავებულია გამოთვლილი მომენტებისაგან (ეს ეხება სხვა ციურ სხეულთა ამოსვლა-ჩასვლასაც).

მზის ამოსვლა-ჩასვლის მოცემული მომენტები საქართველოს სხვადასხვა პუნქტისათვის, თბილისის დროით გამოსახვისას, ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდეს 40 წუთამდე.

მათ საპოვნელად უნდა მოვახდინოთ ინტერპოლაცია კალენდრის ცხრილების მონაცემებისა მოცემული პუნქტის ϕ განედისათვის, შემდეგ კი მიღებულ მომენტს დავამატოთ (3^h - λ) სიდიდე, სადაც λ მოცემული პუნქტის გრძედია, გამოსახული საათებითა და წუთებით.

X სვეტი მოიცავს მზის ამოსვლისა და ჩასვლის ადგილის გეოდეზიური A აზიმუტის რიცხვით მნიშვნელობებს თბილისისათვის. A აითვლება ჰორიზონტის წრეწირზე ჩრდილოეთის წერტილიდან აღმოსავლეთით (+) ნიშნით და დასავლეთით (-) ნიშნით. საქართველოს სხვა პუნქტებისათვის A-ს სიდიდე უმნიშვნელოდ იქნება განსხვავებული ამ მნიშვნელობებისაგან. ეს მონაცემები გამოიყენება იმისათვის, რომ წინასწარ გავიგოთ ჰორიზონტის რა ადგილას უნდა მოველოდეთ მზის ამოსვლა-ჩასვლას. ადვილი მისახვედრია რომ, თუ $A=90^\circ$, მზე ზუსტად აღმოსავლეთის წერტილში ამოდის (ეს ხდება გაზაფხულის და შემოდგომის დღე-ღამტოლობის დღეებში). ზაფხულის თვეებში $A<90^\circ$; მზე ამოდის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის წერტილებს შორის.

კენტ გვერდებზე III სვეტში მოცემულია დღეები იულიუსის პერიოდისა, რომელიც შეიცავს 7980 წელიწადს და რომლის დასაწყისად ითვლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვრის გრინვიჩისეული საშუალო შუადღე. მაგალითად, 2026 წლის 1 თებერვალს (გვ. 25) ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4713 წლის 1 იანვრიდან გასულია 2461072.5 დღე-ღამე.

იულიუსის აღრიცხვით დღეთა რაოდენობას ყოველ ორ თარიღს შორის მარტივად და შეუცდომლად გავიგებთ. ამიტომ ის ხშირად გამოიყენება ასტრონომიაში.

თვით იულიუსის პერიოდი უმცირესი საერთო ჯერადია 28, 19 და 15-წლიანი პერიოდებისა და ამ რიცხვთა ნამრავლით მიიღება: $28 \times 19 \times 15 = 7980$. ყოველი 28 წლის შემდეგ მეორდება კალენდარულ თარიღთა შესაბამისი კვირის დღეები, ყოველი 19 წლის შემდეგ (ე.წ. მეტონის ციკლი) დაახლოებით მეორდება კალენდარულ თარიღთა შესაბამისი მთვარის ფაზები, 15-წლიანი პერიო-

დი კი ძველი რომის საბეგარო სისტემაში გამოიყენებოდა. ამრიგად, იულიუსის პერიოდის გასვლის შემდეგ 1 იანვარს კვლავ დადგება ამ სამივე შემადგენელი პერიოდის დასაწყისი.

მთვარი

(გვ. 46-49). II, IV და VI სვეტებში მოცემულია მთვარის ამოსვლის, III, V და VII სვეტებში კი ჩასვლის მომენტები, თბილისისათვის ადგილობრივი საშუალო დროით წლის ყოველი დღისთვის. მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები საქართველოს სხვადასხვა პუნქტში ადგილობრივი საშუალო დროით შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს დაახლოებით 10 წუთამდე, ამ ცხრილში მოყვანილი მომენტებისაგან კი დაახლოებით 20 წუთამდე (თბილისის დროით გამოსახვისას ეს სხვაობანი შეიძლება 1 საათს აღწევდეს). დეკრეტულ დროზე გადასაყვანად ამ მონაცემებს უნდა დაემატოს 1 საათი, საზაფხულო დროზე გადასაყვანად კი, სათანადო შუალედში, კიდევ ერთი საათი. რეალურმა პორიზონტმა, მაღალი მთების სიახლოვეს, ცხადია, შეიძლება საგრძნობი კორექტივი შეიტანოს მთვარის ამოსვლა-ჩასვლის რეალურ მომენტებში.

მთვარის ფაზები

(გვ. 50). ცხრილში მოცემულია მთვარის ძირითადი ფაზების მომენტები თბილისის საშუალო დროით. ნაჩვენებია დღე, საათი და წუთი.

მაგალითად, იანვარში, ახალმთვარეობა 18-შია; ეს ფაზა ზუსტად 22 საათსა და 53 წუთზე დგება. იმის გამო, რომ მთვარის თვე კალენდარულ თვეზე მოკლეა, ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ერთი და იგივე ფაზა მოცემულ თვეში განმეორდეს, მაგალითად 1 და 31 მაისს, 1 და 30 დეკემბერს.

პლანეტები

(გვ. 51-57). მოცემულია 2026 წლის განმავლობაში პლანეტების მდებარეობისა და მათი ხილვადობის აღწერილობა. (გვ. 58-67). წარმოდგენილია ცხრილები, რომელთა მე-2, მე-3 და მე-4 სვეტები შეიცავს პლანეტების ამოსვლის, ზედა კულმინაციის და ჩასვლის მომენტებს თბილისში, ადგილობრივი საშუალო დროით, დაწყებული 1 იანვრიდან ყოველი შემდეგი მე-7 დღისთვის, მთელი წლის მანძილზე. ეს მომენტები საქართველოს სხვა პუნქტები-

სათვის თბილისის დროით შეიძლება განსხვავდებოდეს 40 წუთამდე. მომენტები და კოორდინატები მოცემულია ასე იშვიათად იმის გამო, რომ ისინი შედარებით მცირედ ცვალებადობენ. ინტერპოლაციით გამოვითვლით ამ სიდიდეებს ნებისმიერი დღისთვის პრაქტიკულად საკმარისი სიზუსტით. მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 სვეტების მონაცემები მიგვითითებს სად უნდა მოველოდეთ ცთომილის ამოსვლას (ჩასვლას), რა მანძილზე უნდა იმყოფებოდეს დედამიწის ცენტრიდან და რომელ თანავარსკვლავედში უნდა ვეძებდეთ მას.

თუ გვაინტერესებს თბილისის დროით რომელ საათზე ამოვა, გაივლის ზედა კულმინაციაში ან ჩავა ესა თუ ის პლანეტა, კალენდარულ მონაცემებს უნდა დავამატოთ 1 წუთი. საქმე ისაა, რომ თბილისის გრძედი 1^მ-ით ნაკლებია მესამე სასაათო ზოლის შუა მერიდიანის გრძედზე, რომლის ადგილობრივ დროს „თბილისის დრო“ ეწოდება. ამიტომ „თბილისის დრო“ 1 წუთით წინაა ქობილისის ადგილობრივ დროზე და სწორედ ამას ეყრდნობა ზემოთაღნიშნული წესი.

სამოქალაქო და ასტრონომიული ბინდო და დღის ხანგრძლივობა

(გვ. 68-69). სადამოს ბინდის დასაწყისი და დილის ბინდის დასასრული მზის დისკოს ზედა კიდის პორიზონტის ხაზთან შეხების მომენტებია.

სამოქალაქო ბინდის ხანგრძლივობა უდრის დროის იმ ინტერვალს, რაც მზეს დასჭირდება პორიზონტის ქვემოთ 6°-ით ჩაშვებისათვის (ან ამ მანძილის გავლისათვის ქვევიდან ზევით – პორიზონტამდე), ხოლო ასტრონომიული ბინდისა – პორიზონტს ქვემოთ 18°-ით ჩაშვებისათვის.

VI და VII სვეტებში მოცემულია ბინდის ხანგრძლივობა. მისი გამოთვლა ადვილია, როგორც სხვაობისა, მაგალითად, მზის ამოსვლის მომენტსა და დილის ბინდის დასაწყისის მომენტს შორის (სათანადო ცხრილიდან).

VIII სვეტში მოცემულია დღის ხანგრძლივობა, რაც დროის ინტერვალაა დილის ბინდის დასასრულიდან სადამოს ბინდის დასაწყისამდე.

ეს ცხრილი შედგენილია 42° განედისათვის და გამოსადეგია საქართველოს მთელი ტერიტორიისთვის.

მზისა და მთვარის დაბნელება

(გვ. 70-71) მოცემულია ცნობები მზისა და მთვარის დაბნელებების შესახებ.

2026 წელს მოხდება მზის ორი დაბნელება: 17 თებერვალსა და 12 აგვისტოს. პირველი მათგანი რგოლურია, მეორე კი სრული. საქართველოს ტერიტორიიდან არც ერთი მათგანი არ გამოჩნდება. აგრეთვე მოხდება მთვარის ორი დაბნელება: 3 მარტსა და 28 აგვისტოს. პირველი დაბნელება სრულია, მეორე კი ნაწილობრივი. საქართველოს ტერიტორიიდან არც ერთი ამ დაბნელების არც ერთი ფაზა არ გამოჩნდება.

შესანიშნავი მეტეოროლოგიკური ნაკადები

(გვ. 72). მეტეოროლოგიკური ნაკადების სიაში შეტანილია ძირითადად მხოლოდ ისეთები, რომელთა დაკვირვებისათვის საუკეთესო პირობებია მეტეოროლოგიის სისტემისა და ხილვადობის მხრივ.

მე-2 სვეტში მოცემულია ნაკადის სახელწოდება იმ თანავარსკვლავედის ლათინური დასახელებით, რომელშიც იმყოფება მისი რადიანტი ანუ წერტილი, საიდანაც თითქმის შემოიჭრებიან ცაზე მოცემული ნაკადის მეტეოროები.

მე-4 სვეტი შეიცავს მაქსიმუმის დღეს, რომელიც შეესაბამება ჩვენს ცაზე შემოჭრილ მეტეოროთა მაქსიმალურ რაოდენობას ერთ საათში. მე-8 სვეტში მოცემულია მეტეოროთა რაოდენობა, რაც წარმოადგენს უმთვარო დამით ერთი დამკვირვებლის მიერ ერთ საათში დათვლილ მეტეოროთა რიცხვს.

ვარსკვლავთა საშუალო მდებარეობანი

2026 წლის მომენტისათვის

(გვ. 73-76). მოცემულია კაშკაშა ვარსკვლავების საშუალო მდებარეობების ზუსტი ეკვატორული კოორდინატები. ამ ცხრილში შევიდა 3.5 ვარსკვლავიერ სიდიდეზე უფრო კაშკაშა ყველა ვარსკვლავი, რომელთა დახრილობა $+90^{\circ}$ -სა და -30° -ს შორისაა.

ცვალებადი ვარსკვლავები

(გვ. 77-80). ვარსკვლავებს, რომელთა სიკაშკაშე არასტაბილურია, ცვალებად ვარსკვლავებს უწოდებენ. მათი სიკაშკაშის ცვალებადობის ხასიათის შესწავლა საინტერესო მეცნიერულ ამოცანას წარმოადგენს. სიკაშკაშის ცვალებადობა გამოწვეულია ან ფიზიკური მოვლენებით თვით ვარსკვლავებში (მაგ. ცეფეიდები), ან ოპტიკური ეფექტით, რაც გამოიხატება ორმაგი

ვარსკვლავების კომპონენტების მიერ ერთმანეთის პერიოდული დაბნელებით (ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავები). ცხრილში მოყვანილია მონაცემები ისეთი ცვალებადი ვარსკვლავებისათვის, რომელთა დაკვირვება მისაწვდომია მცირე ზომის ტელესკოპებით.

IV სეგტში მოცემულია ვარსკვლავის მაქსიმალური და მინიმალური სიკაშკაშის მნიშვნელობანი, გამოხატული ვარსკვლავიერი სიდიდეებით. მათი სხვაობა გვაძლევს სიკაშკაშის ცვალებადობის ფარგლებს, ანუ ამპლიტუდას.

V სეგტში მოცემულია სიკაშკაშის მაქსიმუმის (ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავების შემთხვევაში მინიმუმის) მომენტის გამოსათვლელი ფორმულა, რომელშიც პირველი წევრი წარმოადგენს სიკაშკაშის მაქსიმუმის (მინიმუმის) საწყის მომენტს, გამოხატულს იულიუსის დღეებით; მეორე წევრი კი წარმოადგენს ცვალებადობის პერიოდისა და E ფაქტორის ნამრავლს, გამოხატულს დღე-ღამეებით. E ფაქტორი ნიშნავს საწყისი მომენტიდან დაკვირვების მომენტამდე გასული პერიოდების რიცხვს.

დაკვირვება ისეთ ცვალებად ვარსკვლავზე, რომელიც სწრაფად იცვლის სიკაშკაშეს და ჩანს შეუიარაღებელი თვალით, ერთობ საინტერესოა. იმისთვის, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ სხვადასხვა ტიპის ვარსკვლავთა ცვალებადობის ხასიათზე, საჭიროა მათზე სისტემატური დაკვირვება.

მოყვანილია მონაცემები რამდენიმე გრძელპერიოდისანი ცვალებადისა და ერთი ტიპიური ცვალებადი ვარსკვლავის პერსევსის β-ს სიკაშკაშის ცვალებადობის შესახებ, რომელზეც დაკვირვება ადვილი მოსახერხებელია.

რეფრაქციის ცხრილები

(გვ. 83-84). დედამიწის ატმოსფერო ამრუდებს ციურ მნათობთა სხივების სვლას, სახელდობრ, აახლოებს მას ვერტიკალურ მიმართულებასთან. ამის გამო მნათობები მათი ჭეშმარიტი მდებარეობებისაგან რამდენადმე ზენიტისკენ გადაადგილებულნი გვეჩვენება. ამ გადაადგილების სიდიდეს და თვით მოვლენასაც რეფრაქციას უწოდებენ (რეფრაქცია გარდატეხას ნიშნავს). რეფრაქციის სიდიდე სხვადასხვაა ზენიტიდან სხვადასხვანაირად დაშორებული მნათობებისთვის და, ამას გარდა, რამდენადმე დამოკიდებულია ატმოსფეროს ტემპერატურასა და ბარომეტრულ წნევაზე.

რეფრაქციის სიდიდის ცოდნა აუცილებელია, რათა მნათობების ნამდვილი, კატალოგებში აღნიშნული მდებარეობების მიხედ-

დვით გამოვითვალთ ცაზე მათი ხილული მდებარეობანი ან პირიქით: დაკვირვებით განსაზღვრული მნათობების ხილული კოორდინატების საშუალებით განვსაზღვროთ მათივე ჭეშმარიტი კოორდინატები.

მოგვეავს საშუალო რეფრაქციის, აგრეთვე რეფრაქციაზე წნევისა და ტემპერატურის გავლენის ამსახველი ცხრილები.

ცნობები რამდენიმე უპაშაშუსი და უახლოესი მარსკვლავის შესახებ

(გვ. 85-86). მოცემულია ძირითადი ცნობები ბრწყინვალეების, მანძილის, ტემპერატურის და სხვათა შესახებ.

ორჯერადი მარსკვლავები კომპონენტებს შორის მკვეთრად განსხვავებული ზომებით

(გვ. 86). დაკვირვებისთვის თავისებურ ინტერესს წარმოადგენს ორჯერადი ვარსკვლავები, რომელთა კომპონენტებს განსხვავებული ფერები ახასიათებთ, რაც მათი ტემპერატურების სხვადასხვაობით არის გამოწვეული. ცხრილში მოცემულია ასეთი კაშკაშა სისტემები.

ორჯერადი მარსკვლავები

(გვ. 87). ორ ვარსკვლავს, რომელნიც მათი საერთო სიმძიმის ცენტრის გარშემო ბრუნავენ, ორჯერად ვარსკვლავს უწოდებენ. თუ ასეთ სისტემას ქმნის სამი ვარსკვლავი, მას სამჯერადს უწოდებენ და ა.შ. ორჯერად სისტემაში უფრო კაშკაშა ვარსკვლავს აღნიშნავენ როგორც A კომპონენტს, მეორეს კი როგორც B კომპონენტს.

ცხრილში მოცემულია შედარებით კაშკაშა ჯერადი სისტემები, რომელთა კომპონენტებს შორის დაშორება არცთუ ძალიან მცირეა. მათი ჯერადობის შემჩნევა და დაკვირვება შესაძლებელია მცირე ზომის ტელესკოპით ან ძლიერი დურბინდით.

ღია და სფერული გრომები

(გვ. 88). სივრცის შედარებით მცირე მოცულობაში ვარსკვლავთა სივრცულ შეჯგუფებას ეწოდება ვარსკვლავთა გროვა. თუ ვარსკვლავები თავმოყრილია სფეროს ან ბრუნვითი ელიფსოიდის ფორმის მქონე არეში, მაშინ ასეთ გროვას ეწოდება სფერული. სფერულ გროვაში შეიძლება შედიოდეს ათეულობით ათასი ვარსკვლავი. ასეთ გროვებში ვარსკვლავების ერთმანეთთან მჭი-

დრო განლაგების გამო არ ხერხდება მათი რაოდენობის ზუსტი დადგენა და ძნელდება ცალკეული ვარსკვლავის ბრწყინვალეობის გაზომვა. თუ ვარსკვლავები თავმოყრილია უწყვეტ ფორმის სახით და ხშირად ისინი ადვილად არ გამოირჩევიან მათ გარშემო მდებარე ვარსკვლავთაგან, მაშინ ასეთებს ვარსკვლავთ ღია გროვებს უწოდებენ. ასეთ გროვებში შეიძლება შედიოდეს რამდენიმე ასეული ვარსკვლავი. ცხრილში თავმოყრილ ვარსკვლავთა გროვების დაკვირვება მცირე ზომის ტელესკოპითაც შეიძლება.

ბნელი, დიფუზური და პლანეტარული ნისლეულები

(გვ. 89). მოყვანილია ჩვენს გალაქტიკაში შემავალი ზოგიერთი სხვადასხვა ფორმის, სუსტად მნათი აირებისა და კოსმოსური მტერის მასები, ან დიფუზური (დიფ) ნისლეულები. ასეთი მასები, თუ არ ანათებენ, ბნელ (ბნ) ნისლეულებად იწოდებიან. თუ ნისლეული მცირე ზომის არეს იჭერს, მრგვალი ან შებრტყელებული ფორმისაა და მის ცენტრში ვარსკვლავი გამოსჭვივის, მაშინ ასეთს პლანეტარული (პლ) ნისლეული ეწოდება.

გალაქტიკები

(გვ. 90). მოყვანილია ვარსკვლავთა სისტემები, რომლებიც ჩვენი ვარსკვლავთ სისტემის ანუ ჩვენი გალაქტიკის მსგავსია და იმყოფება ზესივრცეში ჩვენი გალაქტიკის გარეთ. ასეთი სისტემები, ანუ გალაქტიკები სამყაროში აურაცხელი რაოდენობითაა. გალაქტიკები თავიანთი ფორმის და ევოლუციის მიხედვით იყოფიან სპეციფიკურ ჯგუფებად: E, Sb, Sc და სხვ.

სხვა მონაცემები

შემდგომ გვერდებზე (გვ. 91-103) მოცემულია ძირითადი ცნობები პლანეტებსა და მათ თანამგზავრებზე: დედამიწაზე, მთვარესა და მზეზე; მოცემულია ზოგიერთი მუდმივი სიდიდის მნიშვნელობანი, სხვა დამხმარე ცხრილები და აღნიშვნებიც. ყველა საჭირო განმარტება თვით ცხრილებში მოიპოვება. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჩვენი კალენდრის 2008 წლის გამოშვებიდან დაწყებული, პლუტონი ამოვიღეთ მზის სისტემის დიდი პლანეტების ცხრილიდან. ამას გარდა, განვაახლეთ პლანეტების თანამგზავრთა ცხრილები ბოლო წლებში აღმოჩენილ თანამგზავრთა გათვალისწინებით.



თემის რიცხვი	კუთხის აღმნიშვნელი	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კუთხის მიხედვით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

0 ა ნ ვ ა რ ი

		h m	h m	h m	h m	h m	h m	h m	°
1	ბთ	7 25	7 28	7 32	12 03	16 42	16 39	16 36	121
2	პრ	7 25	7 28	7 32	12 04	16 43	16 40	16 37	121
3	შბ	7 25	7 28	7 32	12 04	16 44	16 41	16 38	120
4	კვ	7 25	7 28	7 32	12 05	16 45	16 42	16 38	120
5	ორ	7 25	7 28	7 31	12 05	16 46	16 43	16 40	120
6	სმ	7 25	7 28	7 31	12 06	16 47	16 44	16 40	120
7	ოთ	7 25	7 28	7 31	12 06	16 48	16 45	16 42	120
8	ბთ	7 25	7 28	7 31	12 07	16 49	16 46	16 42	120
9	პრ	7 25	7 28	7 31	12 07	16 50	16 47	16 44	119
10	შბ	7 24	7 28	7 30	12 07	16 51	16 48	16 45	119
11	კვ	7 24	7 27	7 30	12 08	16 52	16 49	16 46	119
12	ორ	7 24	7 27	7 30	12 08	16 53	16 50	16 47	119
13	სმ	7 24	7 26	7 30	12 09	16 54	16 51	16 48	119
14	ოთ	7 23	7 26	7 29	12 09	16 55	16 52	16 49	118
15	ბთ	7 23	7 26	7 28	12 10	16 56	16 53	16 50	118
16	პრ	7 22	7 25	7 28	12 10	16 57	16 54	16 52	118
17	შბ	7 22	7 24	7 28	12 10	16 58	16 55	16 53	118
18	კვ	7 22	7 24	7 27	12 10	16 59	16 56	16 54	117
19	ორ	7 22	7 24	7 26	12 11	17 00	16 58	16 55	117
20	სმ	7 21	7 23	7 26	12 11	17 02	16 59	16 56	117
21	ოთ	7 20	7 22	7 25	12 11	17 03	17 00	16 58	116
22	ბთ	7 20	7 22	7 24	12 12	17 04	17 02	16 59	116
23	პრ	7 19	7 21	7 24	12 12	17 05	17 03	17 00	116
24	შბ	7 18	7 20	7 23	12 12	17 06	17 04	17 02	115
25	კვ	7 18	7 19	7 22	12 12	17 08	17 05	17 03	115
26	ორ	7 17	7 18	7 21	12 13	17 09	17 06	17 04	115
27	სმ	7 16	7 18	7 20	12 13	17 10	17 08	17 05	114
28	ოთ	7 14	7 17	7 20	12 13	17 12	17 09	17 06	114
29	ბთ	7 14	7 16	7 18	12 13	17 13	17 10	17 08	114
30	პრ	7 13	7 15	7 18	12 13	17 14	17 12	17 09	113
31	შბ	7 12	7 14	7 16	12 13	17 15	17 13	17 11	113



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან გასული დღის რაოდენობა	იულიანური კალენდრის დღე	გარსკვლავეკი დრო 0 ^h -ზე მსოფლიო დროით	დედამიწის დინამიკური დროით 0 ^h -ზე		სივრცითი რადიუსი	გარსკვლავეკი დრო 0 ^h -ზე თბილისის სუბჰელსო დროით
				სივრცითი α	სივრცითი δ		

0 1 2 3 4 5 6

		2461	h m s	h m s	° ' "	' "	h m s
1	0.000	041.5	6 42 36	18 45 55	-23 02	16 18	6 42 06
2	.003	042.5	6 46 33	18 50 20	22 57	16 18	6 46 03
3	.006	043.5	6 50 30	18 54 44	22 52	16 18	6 50 00
4	.008	044.5	6 54 26	18 59 08	22 46	16 18	6 53 56
5	.011	045.5	6 58 23	19 03 32	22 40	16 17	6 57 53
6	.014	046.5	7 02 19	19 07 55	22 33	16 17	7 01 49
7	.016	047.5	7 06 16	19 12 18	22 26	16 17	7 05 46
8	.019	048.5	7 10 12	19 16 41	22 18	16 17	7 09 43
9	.022	049.5	7 14 09	18 21 03	22 10	16 17	7 13 39
10	.025	050.5	7 18 05	19 25 24	22 01	16 17	7 17 36
11	.027	051.5	7 22 02	19 29 45	21 52	16 17	7 21 32
12	.030	052.5	7 25 59	19 34 05	21 43	16 17	7 25 29
13	.033	053.5	7 29 55	19 38 25	21 33	16 17	7 29 25
14	.036	054.5	7 33 52	19 42 44	21 23	16 17	7 33 22
15	.038	055.5	7 37 48	19 47 03	21 12	16 17	7 37 18
16	.041	056.5	7 41 45	19 51 20	21 01	16 17	7 41 15
17	.044	057.5	7 45 41	19 55 37	20 50	16 17	7 45 12
18	.046	058.5	7 49 38	19 59 54	20 38	16 17	7 49 08
19	.049	059.5	7 53 34	20 04 09	20 25	16 17	7 53 05
20	.052	060.5	7 57 31	20 08 24	20 13	16 17	7 57 01
21	.055	061.5	8 01 28	20 12 38	20 00	16 17	8 00 58
22	.058	062.5	8 05 24	20 16 52	19 46	16 17	8 04 54
23	.060	063.5	8 09 21	20 21 04	19 33	16 17	8 08 51
24	.063	064.5	8 13 17	20 25 15	19 19	16 16	8 12 47
25	.066	065.5	8 17 14	20 29 27	19 04	16 16	8 16 44
26	.068	066.5	8 21 10	20 33 37	18 49	16 16	8 20 41
27	.071	067.5	8 25 07	20 38 47	18 34	16 16	8 24 37
28	.074	068.5	8 29 03	20 41 55	18 19	16 16	8 28 34
29	.077	069.5	8 33 00	20 46 03	18 03	16 16	8 32 30
30	.079	070.5	8 36 57	20 50 10	17 47	16 16	8 36 27
31	0.082	071.5	8 40 53	20 54 16	-17 30	16 16	8 40 23



თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

0) ე ბ ე რ ვ ა ლ 0

		h m	h m	h m	h m	h m	h m	h m	°
1	კვ	7 11	7 13	7 16	12 14	17 17	17 15	17 12	112
2	ორ	7 10	7 12	7 14	12 14	17 18	17 16	17 14	112
3	სმ	7 09	7 11	7 13	12 14	17 20	17 18	17 15	112
4	ოთ	7 08	7 10	7 12	12 14	17 21	17 19	17 17	111
5	ხო	7 07	7 09	7 11	12 14	17 22	17 20	17 18	111
6	პრ	7 06	7 08	7 10	12 14	17 23	17 21	17 19	110
7	შბ	7 05	7 06	7 08	22 14	17 24	17 22	17 20	110
8	კვ	7 04	7 05	7 07	12 14	17 26	17 24	17 22	110
9	ორ	7 02	7 04	7 06	12 14	17 27	17 25	17 23	109
10	სმ	7 01	7 03	7 05	12 14	17 28	17 26	17 24	109
11	ოთ	7 00	7 02	7 04	12 14	17 29	17 28	17 26	108
12	ხო	6 59	7 00	7 02	12 14	17 30	17 29	17 27	108
13	პრ	6 58	6 59	7 01	12 14	17 32	17 30	17 28	107
14	შბ	6 56	6 58	7 00	12 14	17 33	17 31	17 30	107
15	კვ	6 55	6 56	6 58	12 14	17 34	17 32	17 31	106
16	ორ	6 54	6 55	6 57	12 14	17 35	17 34	17 32	106
17	სმ	6 52	6 54	6 56	12 14	17 36	17 35	17 34	105
18	ოთ	6 51	6 52	6 54	12 14	17 38	17 36	17 35	105
19	ხო	6 50	6 51	6 52	12 14	17 39	17 38	17 36	105
20	პრ	6 48	6 50	6 51	12 14	17 40	17 39	17 38	104
21	შბ	6 46	6 48	6 50	12 14	17 42	17 40	17 39	104
22	კვ	6 45	6 46	6 48	12 14	17 43	17 41	17 40	103
23	ორ	6 44	6 45	6 46	12 13	17 44	17 42	17 42	103
24	სმ	6 42	6 44	6 45	12 13	17 45	17 44	17 43	102
25	ოთ	6 41	6 42	6 43	12 13	17 46	17 45	17 44	102
26	ხო	6 40	6 41	6 42	12 13	17 47	17 46	17 45	101
27	პრ	6 38	6 39	6 40	12 13	17 48	17 48	17 46	101
28	შბ	6 36	6 37	6 38	12 13	17 50	17 49	17 48	100



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან განვლილი მისი ნაკვეთი	თვითისთვის პერიოდის დღე	ვარსკვლავები დრო 0 ^h -ზე მსოფლიო დროით	დედამიწის დინამიკური დროით 0 ^h -ზე		ხილვითი რაოდენობა	ვარსკვლავები დრო 0 ^h -ზე თბილისის სა- შუალო დროით
				ხილვითი α	ხილვითი δ		
თ მ გ ე რ ვ ა ლ ი							
		2461	h m s	h m s	° '	' "	h m s
1	0.085	072.5	8 44 50	20 58 21	-17 13	16 15	8 44 20
2	.088	073.5	8 48 46	21 02 26	16 56	16 15	8 48 16
3	.090	074.5	8 52 42	21 06 29	16 39	16 15	8 52 12
4	.093	075.5	8 56 39	21 10 32	16 21	16 15	8 56 10
5	.096	076.5	9 00 36	21 14 34	16 03	16 15	9 00 06
6	.099	077.5	9 04 32	21 18 36	15 45	16 15	9 04 03
7	.101	078.5	9 08 29	21 22 36	15 27	16 15	9 07 59
8	.104	079.5	9 12 26	21 26 36	15 08	16 14	9 11 56
9	.107	080.5	9 16 22	21 30 35	14 49	16 14	9 15 52
10	.110	081.5	9 20 19	21 34 33	14 30	16 14	9 19 49
11	.112	082.5	9 24 15	21 38 31	14 10	16 14	9 23 45
12	.115	083.5	9 28 12	21 42 27	13 50	16 14	9 27 42
13	.118	084.5	9 32 08	21 46 23	13 30	16 13	9 31 39
14	.120	085.5	9 36 05	21 50 19	13 10	16 13	9 35 35
15	.123	086.5	9 40 01	21 54 13	12 50	16 13	9 39 32
16	.126	087.5	9 43 58	21 58 07	12 29	16 13	9 43 28
17	.129	088.5	9 47 55	22 01 59	12 08	16 13	9 47 25
18	.131	089.5	9 51 51	22 05 52	11 47	16 13	9 51 21
19	.134	090.5	9 55 48	22 09 43	11 26	16 12	9 55 18
20	.137	091.5	9 59 44	22 13 34	11 05	16 12	9 59 14
21	.140	092.5	10 03 41	22 17 24	11 43	16 12	10 03 11
22	.142	093.5	10 07 37	22 21 13	10 21	16 12	10 07 08
23	.145	094.5	10 11 34	22 25 02	9 59	16 11	10 11 04
24	.148	095.5	10 15 30	22 28 50	9 37	16 11	10 15 01
25	.151	096.5	10 19 27	22 32 38	9 15	16 11	10 18 57
26	.153	097.5	10 23 24	22 36 25	8 53	16 11	10 22 54
27	.156	098.5	10 27 20	22 40 11	8 31	16 11	10 26 50
28	.159	099.5	10 31 17	22 43 57	-8 08	16 10	10 30 47



თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლის დროის გამოთვლა
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

მ ა რ ტ ი

		h m	h m	h m	h m	h m	h m	h m	°
1	კვ	6 35	6 36	6 37	12 12	17 51	17 50	17 49	100
2	ორ	6 33	6 34	6 35	12 12	17 52	17 51	17 50	99
3	სმ	6 32	6 33	6 34	12 12	17 53	17 52	17 52	99
4	ოთ	6 30	6 31	6 32	12 12	17 54	17 53	17 52	98
5	ხთ	6 28	6 29	6 30	12 12	17 55	17 54	17 53	98
6	პრ	6 27	6 28	6 28	12 11	17 56	17 55	17 55	97
7	შბ	6 26	6 27	6 26	12 11	17 57	17 56	17 56	97
8	კვ	6 24	6 26	6 25	12 11	17 58	17 58	17 57	96
9	ორ	6 22	6 23	6 24	12 11	18 00	17 59	17 58	96
10	სმ	6 21	6 22	6 23	12 10	18 01	18 00	18 00	95
11	ოთ	6 19	6 20	6 21	12 10	18 02	18 02	18 01	94
12	ხთ	6 17	6 18	6 18	12 10	18 03	18 03	18 02	94
13	პრ	6 16	6 16	6 16	12 10	18 04	18 04	18 04	93
14	შბ	6 14	6 14	6 14	12 09	18 05	18 05	18 05	93
15	კვ	6 12	6 12	6 12	12 09	18 06	18 06	18 06	92
16	ორ	6 11	6 11	6 11	12 09	18 07	18 07	18 07	92
17	სმ	6 09	6 09	6 09	12 08	18 08	18 08	18 08	91
18	ოთ	6 07	6 07	6 07	12 08	18 10	18 09	18 09	91
19	ხთ	6 06	6 06	6 06	12 08	18 11	18 10	18 10	90
20	პრ	6 04	6 04	6 04	12 08	18 12	18 12	18 12	90
21	შბ	6 02	6 02	6 02	12 07	18 13	18 13	18 13	89
22	კვ	6 00	6 00	6 00	12 07	18 14	18 14	18 14	89
23	ორ	5 59	5 58	5 58	12 07	18 15	18 15	18 15	88
24	სმ	5 57	5 57	5 57	12 06	18 16	18 16	18 16	88
25	ოთ	5 56	5 55	5 55	12 06	18 17	18 17	18 18	87
26	ხთ	5 54	5 54	5 53	12 06	18 18	18 18	18 19	87
27	პრ	5 52	5 52	5 52	12 05	18 19	18 20	18 20	86
28	შბ	5 51	5 50	5 50	12 05	18 20	18 21	18 21	86
29	კვ	5 50	5 49	5 48	12 05	18 22	18 22	18 22	85
30	ორ	5 48	5 47	5 47	12 05	18 23	18 23	18 24	84
31	სმ	5 46	5 46	5 45	12 04	18 24	18 24	18 25	84



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან გაწეული მისი ნაწილი	იულიანური კალენდრის დღე	გრეგორიანული კალენდრის დღე	დღეადგილის დინამიკური დროითი მზა		სივრცითი რაიონის სივრცითი	გრეგორიანული კალენდრის დროითი მზა
				ბიულეთი α	ბიულეთი δ		
მ ა რ ტ ი							
		2461	h m s	h m s	° '	' "	h m s
1	0.162	100.5	10 35 13	22 47 43	-7 45	16 10	10 34 43
2	.164	101.5	10 39 10	22 51 27	7 23	16 10	10 38 40
3	.167	102.5	10 43 06	22 55 12	7 00	16 10	10 42 37
4	.170	103.5	10 47 03	22 58 56	6 37	16 09	10 46 33
5	.172	104.5	10 50 59	23 02 39	6 14	16 09	10 50 30
6	.175	105.5	10 54 56	23 06 22	5 50	16 09	10 54 26
7	.178	106.5	10 58 53	23 10 05	5 27	16 09	10 58 23
8	.181	107.5	11 02 49	23 13 47	5 04	16 08	11 02 19
9	.183	108.5	11 06 46	23 17 29	4 40	16 08	11 06 16
10	.186	109.5	11 10 42	23 21 10	4 17	16 08	11 10 12
11	.189	110.5	11 14 38	23 24 51	3 53	16 08	11 14 09
12	.192	111.5	11 18 35	23 28 32	3 30	16 07	11 18 06
13	.194	112.5	11 22 32	23 32 13	3 06	16 07	11 22 02
14	.197	113.5	11 26 28	23 35 53	2 42	16 07	11 25 59
15	.200	114.5	11 30 25	23 39 33	2 19	16 07	11 29 55
16	.203	115.5	11 34 22	23 43 13	1 55	16 06	11 33 52
17	.205	116.5	11 38 18	23 46 52	1 31	16 06	11 37 48
18	.208	117.5	11 42 15	23 50 32	1 08	16 06	11 41 45
19	.211	118.5	11 46 11	23 54 11	0 44	16 05	11 45 41
20	.214	119.5	11 50 08	23 57 50	-0 20	16 05	11 49 38
21	.216	120.5	11 54 04	0 01 29	+0 03	16 05	11 53 35
22	.219	121.5	11 58 01	0 05 07	0 27	16 05	11 57 31
23	.222	122.5	12 01 57	0 08 46	0 51	16 04	12 01 28
24	.224	123.5	12 05 54	0 12 24	1 14	16 04	12 05 24
25	.227	124.5	12 09 51	0 16 02	1 38	16 04	12 09 21
26	.230	125.5	12 13 47	0 19 41	2 02	16 04	12 13 17
27	.233	126.5	12 17 44	0 23 19	2 25	16 03	12 17 14
28	.236	127.5	12 21 40	0 26 57	2 49	16 03	12 21 10
29	.238	128.5	12 25 37	0 30 35	3 12	16 03	12 25 07
30	.241	129.5	12 29 33	0 34 14	3 35	16 03	12 29 04
31	0.244	130.5	12 33 30	0 37 52	+3 59	16 02	12 33 00



თვის რიცხვი	კვირის დღე	ამოსვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ცენტრის ზედა კულმინაცია თბილისში თბილისის საშუალო დროით	ჩასვლა ადგილობრივი საშუალო დროით			ამოსვლისა და ჩასვლის აზიმუტი
		41°	42°	43°		41°	42°	43°	

ა პ რ ი ლ ი

		h m	h m	h m	h m	h m	h m	h m	°
1	ოთ	5 44	5 44	5 43	12 04	18 24	18 25	18 26	83
2	ხთ	5 42	5 42	5 41	12 04	18 26	18 26	18 27	83
3	პრ	5 41	5 40	5 39	12 03	18 27	18 27	18 28	82
4	შბ	5 39	5 39	5 38	12 03	18 28	18 29	18 30	82
5	კვ	5 38	5 37	5 36	12 03	18 29	18 30	18 31	81
6	ორ	5 36	5 35	5 34	12 02	18 30	18 31	18 32	81
7	სმ	5 34	5 32	5 32	12 02	18 31	18 32	18 33	80
8	ოთ	5 32	5 31	5 30	12 02	18 32	18 33	18 34	80
9	ხთ	5 31	5 30	5 29	12 02	18 33	18 34	18 35	79
10	პრ	5 29	5 28	5 27	12 01	18 34	18 35	18 36	79
11	შბ	5 28	5 26	5 25	12 01	18 35	18 36	18 37	78
12	კვ	5 26	5 25	5 24	12 01	18 36	18 37	18 38	78
13	ორ	5 24	5 23	5 22	12 01	18 37	18 39	18 40	77
14	სმ	5 23	5 22	5 20	12 00	18 38	18 40	18 41	77
15	ოთ	5 22	5 20	5 19	12 00	18 40	18 41	18 42	76
16	ხთ	5 20	5 18	5 17	12 00	18 40	18 42	18 43	76
17	პრ	5 18	5 17	5 15	12 00	18 42	18 43	18 44	75
18	შბ	5 16	5 15	5 14	11 59	18 42	18 44	18 46	75
19	კვ	5 15	5 14	5 12	11 59	18 44	18 45	18 47	74
20	ორ	5 14	5 12	5 10	11 59	18 44	18 46	18 48	74
21	სმ	5 12	5 10	5 09	11 59	18 45	18 47	18 49	73
22	ოთ	5 11	5 09	5 08	11 59	18 46	18 48	18 50	73
23	ხთ	5 10	5 08	5 06	11 58	18 48	18 49	18 51	73
24	პრ	5 08	5 06	5 04	11 58	18 49	18 50	18 52	72
25	შბ	5 06	5 04	5 03	11 58	18 50	18 52	18 54	72
26	კვ	5 05	5 03	5 02	11 58	18 51	18 53	18 55	71
27	ორ	5 04	5 02	5 00	11 58	18 52	18 54	18 56	71
28	სმ	5 02	5 00	4 59	11 58	18 53	18 55	18 57	70
29	ოთ	5 01	4 59	4 57	11 56	18 54	18 56	18 58	70
30	ხთ	5 00	4 58	4 56	11 56	18 56	18 57	19 00	69



თვის რიცხვი	წლის დასაწყისიდან გახვდომლი მისი ნაწილი	ოპერაციისთვის დღე	გარეგანი ფაქტორი	დღეგამოს დინამიკური დროითი მ-ზე		ხილული რაოდენობა	გარეგანი ფაქტორი
				ხილული	ხილული		

ა კ რ ი ლ ი

		2461	h m s	h m s	° ' "	' "	h m s
1	0.246	131.5	12 37 26	0 41 31	+4 22	16 02	12 36 57
2	.249	132.5	12 41 23	0 45 09	4 45	16 02	12 40 53
3	.252	133.5	12 45 20	0 48 48	5 08	16 01	12 44 50
4	.255	134.5	12 49 16	0 52 27	5 31	16 01	12 48 46
მარსმავალი „ცნობისმოყვარეობა“, 2012 წელს ამ პლანეტაზე მისი დაშვების მერე, აქტიურად იკვლევს მარსის ნივთიერებას. მას უკვე 21 კმ გაუვლია კრატერ გალესი და შემდეგ ზემოთ, ე.წ. აეოლის მონსის, ამ კრატერის ცენტრში აღმართული 5 კმ სიმაღლის მთა შარპის (Sharp) ფერდობებზე. კვლევის ადრინდელ ეტაპზე კი მას დაუდგენია, რომ 3 მილიარდზე მეტი წლის წინათ კრატერ გალესთან არსებობდა სიცოცხლის არსებობისთვის ხელსაყრელი პირობების მქონე ტბა. შემდგომში აღმოუჩენია სიცოცხლის შესაძლო არსებობაზე მეტყველი სხვა ნიშნები: ორგანული მაკრომოლეკულები, რომლებიც წააგვანან კეროგენს – ნავთობის წარმოქმნის საწყის ნივთიერებას, აგრეთვე შეუნიშნავს ნახშირბადის მსუბუქი იზოტოპით გამდიდრება, რაც დედამიწის შემთხვევაში სიცოცხლის არსებობის ინდიკატორად (მიმანიშნებლად) მიიჩნევა (თუ უკვე თვითონვე არ გაიხსენა, მკითხველს შევახსენებ, რომ დედამიწისეული სიცოცხლე ნახშირბადის ნაერთების არსებობით გამოიხატება, თუმცა კოსმოსის სხვა უბნებში სიცოცხლის ფენომენი შეიძლება რომელიმე სხვა ქიმიურ ელემენტზეც იყოს დაფუძნებული).

სტატიამი მოყვანილია ამ აღმოჩენაზე ცნობილ მეცნიერთა გამოხმაურებანი. მაგალითად, მ. გრეიდის, ღია უნივერსიტეტის პლანეტათმცოდნე მეცნიერის აზრით, თუ აღნიშნული მოლეკულები კარბონმჟავას დაშლის პროდუქტებია, მაშინ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანთან გვაქვს საქმე. ჯ. მასტარდი (ბრაუნის უნივერსიტეტი) ფიქრობს, რომ „ცნობისმოყვარეობის“ მემკვიდრე, მარსმავალი „შეუპოვრობაც“ („Perceverance“) იპოვის მსგავს მო-

ლეკულებს – იგი ახლა აგროვებს მარსის ქანთა ნიმუშებს და აქვს ამბიციური მიზანი ჩამოიტანოს ისინი დედამიწაზე, სადაც მეცნიერები მოახერხებენ ამ მოლეკულათა წარმოშობის მექანიზმის ამოცნობასაც.

მარსის კვლევის უახლესი შედეგი კი ეხება ე.წ. კუმბერლენდის ქანებს, რომლებიც მარსმავალმა გაბურღა 2013 წელს და გაანალიზა მისსავე ბორტსზედა ქიმიურ ლაბორატორიაში, რომელსაც ჰქვია SAM. სახელწოდება შედგენილია ინიციალებით „Sample Analizis on Mars“-იდან, რაც ქართულად ნიშნავს: „ნიმუშთა ანალიზი მარსზე“ (საწყისი ასოებით: ნამ). 2015 წელს გამოქვეყნდა კვლევის წინასწარი მონაცემები მარსზე ორგანულ მოლეკულათა გრძელი ჯაჭვების აღმოჩენის შესახებ, მაგრამ მაშინ დასკვნები არაღამაჯერებელი აღმოჩნდა, რადგან მკვლევრებმა ვერ შეძლეს მოლეკულათა იდენტიფიკაცია (გაიგივება, გამოცნობა) და ვერც მათი გაჩენა გამორიცხეს დედამიწიდან მარსმავალის გაშვებისას მიწიერი ნივთიერებისაგან მარსის შესაძლო დანაგვიანებით. ასტრობიოლოგ დ. გლავინის (ახალი სტატიის თანავტორის) აზრით, ეს კვლევა, თავისი სირთულით, „თივის ზვინში ნემსის ძებნის ტოლფასია“.

მიუხედავად ავტორებისეულ კვლევის მეთოდოლოგიის. ექსპერიმენტის მსვლელობაში მარსმავალი გაბურღული ქანების ნიმუშებს ფხვნის ქვიშად, მერე კი ამ უკანასკნელს ათავსებს კვარცის ჭიქებით SAM – ში. ჭიქები გამოიწვება 1100°C-მდე ტემპერატურაზე და შედეგად მიღებული აირები იდენტიფიცირდება აირის ქრომატოგრაფ – მასსპექტრომეტრით. მაგრამ მეცნიერები საკმარისად სანდოდ ვერ მიიჩნევენ ბორტზე არსებულ ლაბორატორიას. მის მონაცემებს „დომხალს“ უწოდებს ქ-ნი კ. ფრაისინეტი, ახალ კვლევათა ხელმძღვანელი, საფრანგეთის ატმოსფეროს, დაკვირვებებისა და კოსმოსის ლაბორატორიის პლანეტათმცოდნე მეცნიერი. ამ მონაცემებში გასარკვევად კი მკვლევრები დამატებით ექსპერიმენტებს ატარებენ ზემოხსენებული ლაბორატორიის ტყუპისცალით, რომელიც დედამიწაზე, მარსისეულთან მიმსგავსებულ პირობებშია განლაგებული.

2016 წელს კუმბერლენდის ნიმუშებში ორგანულ მოლეკულათა ძებნა ისევ უშედეგო აღმოჩენილა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ კ. ფრაისინეტი კვლავ დაბრუნდება მის შედეგებს და შეუნიშნავს ადრე მისგან და მის კოლეგათაგან ყურადღებამიუქცეველი რამდენიმე საინტერესო დეტალი. შემდგომში თანდათანობით გაუზრდება, რომ ისინი ეკუთვნოდა ორგანული მოლეკულების,

ე.წ. ალკანების (აციკლური ნაჯერი ნახშირწყალბადების) სამ სახეობას, რომლებიც წყალბადისა და ნახშირბადის ატომებს აერთებს ერთ ხაზზე. ესენია დეკანი, ანდეკანი და დოდეკანი (მათი სახელწოდებანი, ქიმიაში დამკვიდრებული ტრადიციით, ბერძნულ ათობით თვლაზეა დაფუძნებული), რომელთა მოლეკულებს ნახშირბადის შესაბამისად 10, 11 და 12 ატომი აქვთ. ეს ნივთიერება, თუმცაღა უმნიშვნელო რაოდენობით (მემილიარდები წილებით), ნამდვილად იყო ნიმუშებში – აცხადებენ ავტორები.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მთავარი საკითხია რა გზით, მარსზე არსებული რომელი ქიმიური ნივთიერებებისაგან შეიძლება წარმოშობილიყო SAM-ის ექსპერიმენტში ალკანები. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს ნივთიერება ცხიმოვანი მჟავები ყოფილიყო. ალკანების ნაკლები მდგრადობის გამო მკვლევრებმა იეჭვეს, ხომ არ მიიერთეს მათ გამოწვამდე ნახშირორჟანგი, რაც კარბონმჟავას (იგივე ცხიმოვანი მჟავას) წარმოქმნით დამთავრდებოდა. ვარაუდის შესამოწმებლად თიხით მდიდარ ნიადაგს მცირეოდენი კარბონმჟავა შეურიეს, და ასე მიღებული კუმბერლენდის მსგავსი ნარევი გამოწვეს დედამიწაზე განლაგებულ SAM-ის ტყუპისცალში. შედეგად მართლაც წარმოიქმნა ალკანები და გამოიყო ნახშირორჟანგიც.

მაგრამ გამოსარიცხი იყო ალკანების წარმოქმნის სხვა შესაძლო გზები. მაგალითად, მარსზე „ცნობისმოყვარეობის“ დაშვების მერე მკვლევრებს აშფოთებდათ გამხსნელის ჟონვა ერთ-ერთი ჭიქიდან. ამიტომ ჩაატარეს ახალი ცდა ცარიელი ჭიქის პირობებში. შედეგი უარყოფითი იყო – ალკანები აღარ წარმოიშვნენ. არ წარმოიშვნენ ისინი არც იმ ქანთაგან, რომლებიც გაბურღული იყო კუმბერლენდის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვა ადგილზე (Rock Hall). მკვლევრებმა ანალოგიურად გამორიცხეს მარსის ქანების ნიმუშთა დაბინძურება ბურღის საპოხი მასალებისგანაც. ყველაფერი ეს თითქოსდა ადასტურებს, რომ აღმოჩენილ ალკანთა წყარო ნამდვილად მარსზე არსებული ცხიმოვანი მჟავაა.

მაგრამ გარკვეული ეჭვები მაინც რჩება: არის კი ორგანულ მოლეკულათა ეს ჯაჭვები ნამდვილად ბიოლოგიური ფენომენი?

ეჭვები რჩება თვით ცდების საიმედოობაშიც. ზოგი მკვლევრის აზრით, სრული სიმართლე მხოლოდ მაშინ გაირკვევა, როცა მარსის ქანთა ნიმუშებს უშუალოდ დედამიწის პირობებში გამოვიკვლევთ. მაგრამ თუნდაც ცდების შედეგები მაშინაც დადასტურდეს, ზოგიერთი მეცნიერის აზრით (მაგალითად, კ. ჰერდი ალბერტას უნივერსიტეტიდან) ორგანულ მოლეკულათა აღმოჩენა შესაძლოა

საერთოდ არ იყოს დაკავშირებული ამ პლანეტაზე სიცოცხლის ოდესმე არსებობასთან, ანუ ისინი შეიძლება აბიოლოგიური წარმოშობისანი იყვნენ.

სხვა მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მზის სისტემაში მოძრავ მეტეორიტებს ისედაც დააქვთ ცნიმოვანი მჟავები, რომელთა წყაროა არა ცოცხალი ორგანიზმები, არამედ ის ქიმიური რეაქციები, რომლებიც მიმდინარეობდა ოდესღაც, ადრინდელ მზის სისტემაში, და ამ მჟავებს შეეძლოთ დაეფარათ პლანეტის ზედაპირი მარსის ისტორიის უძველეს პერიოდშივე (ასე ფიქრობს, მაგალითად ე. შელერი მასაჩუსეტისის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან). ან მჟავები შეიძლებოდა წარმოშობილიყვნენ იმ კეროგენული ნაწილაკებისაგან, რომლებიც მარსზე „ცნობისმოყვარეობამ“ აღმოაჩინა და რომლებიც, შესაძლოა, თვითონაც აბიოტიკური წარმოშობისანი არიან. ამიტომ ზემოდასახელებულ კვლევათა შედეგები, მათი უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, მკვლევრებს ჯერჯერობით არ მიაჩნიათ კოსმოსში არამიწიერი სიცოცხლის არსებობის უცილო დადასტურებად.

2 . მთვარე დაახლოებით დედამიწის ხნისაა?

ჩვენი პლანეტის ღამის მნათობ მთვარეს უნიკალური ადგილი უჭირავს დედამიწის მცხოვრებთა ცნობიერებაში. იგი მრავალი შემოქმედის შთაგონების წყაროა; იწვევს გრანდიოზულ მოძრაობებს დედამიწის ზღვებსა და ოკეანეებში; აწვდის დედამიწის ღერძულ ბრუნვას ანუ სტაბილურად ზრდის დედამის ხანგრძლივობას; წარმოადგენს სასტარტო ციურ სხეულს ადამიანთა მომავალი კოსმოსური მოგზაურობებისთვის ციურ სხეულებზე; ზემოქმედებს ცოცხალ ორგანიზმებზე, და ა. შ. იგი არაა მზის სისტემის პლანეტათა რიგითი ბუნებრივი თანამგზავრი: მისი მასის შეფარდება „საკუთარი“ პლანეტის (დედამიწის) მასასთან გაცილებით დიდია, ვიდრე სხვა პლანეტების მასებთან მათი უდიდესი თანამგზავრების მასათა ანალოგიური ფარდობანი. ამიტომ დედამიწა – მთვარის სისტემას არც თუ იშვიათად ორმაგ პლანეტადაც კი განიხილავენ. არსებობს მოსაზრებანიც, რომ მთვარე თავიდან მზის სისტემაში დამოუკიდებელ ორბიტაზე მოძრაობდა და იგი მხოლოდ მოგვიანებით იქნა მიტაცებული დედამიწის მიერ. მაგრამ ბოლო ათწლეულებში სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ მთვარე და დედამიწა თითქმის ერთდროულად წარმოიშვნენ აირ – მტვრის კოსმოსური ღრუბლის გრავიტაციული კუმშვის პროცესში, ანუ იგი მუდამ იყო ჩვენი ღამის მნათობი.

ასე თუ ისე, მთვარის წარმოშობა და ასაკი სულ უფრო ინტენსიური კვლევის ობიექტი ხდება. უკანასკნელ ხანებში მეცნიერები თანხმდებიან, რომ მთვარე სულ მცირედ ახალგაზრდაა დედამიწასთან შედარებით, ანუ იგი წარმოშობილია მალევე დედამიწის ფორმირების (ჩამოყალიბების) მერე. გასარკვევი რჩება მხოლოდ, რას უდრის ეს „მალევე“ – ასეულ მილიონობით წელიწადს თუ ამაზე მრავალჯერ ნაკლები ხანგრძლივობის შუალედს.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში დიდი როლი შეასრულა მთვარეზე მეოცე საუკუნის მე-4 ოცწლეულის შუა პერიოდში შესრულებული „აპოლონ“ სერიის ფრენების მისიის ფარგლებში დედამიწაზე ჩამოტანილი მთვარის ქანების კვლევამ. ჟ. „Science“-ის 2025 წ. 21 მარტის ნომერში (გვ. 1240 -1241) დაბეჭდილი კ. ვუსენის მიმოხილვის თანახმად, მთვარე, როგორც სტაბილური კოსმოსური სხეული, ჩამოყალიბდა მზის სისტემის წარმოქმნის პროცესის სტარტიდან სულ რაღაც 65 მლნ წლის მერე, ანუ სულ რამდენიმე ათეული მლნ წლით გვიან დედამიწის ფორმირების პერიოდთან შედარებით.

მკითხველს გავაცნობ ამ პუბლიკაციის შინაარსს.

მზის სისტემის კვლევათა მაქს პლანკის ინსტიტუტის კოსმოქიმიკოს თ. კლაინის აზრით, რომელმაც ახლახან ახალი ნაშრომი წარადგინა მთვარისა და პლანეტების მეცნიერების კონფერენციაზე, ამ პრობლემის შემსწავლელი მთავარი ჯგუფების შემადგენელი მეცნიერები ამჟამად უკვე უახლოვდებიან საერთო დასკვნას მთვარის უფრო დიდი ასაკის შესახებ, ვიდრე აქამდე მიაჩნდათ ყველაზე ანგარიშგასაწევ მკვლევრებს, და რომ ეს „ახალი“ ასაკი 4,5 მილიარდი წელია.

მზის სისტემის ამჟამად მეცნიერთაგან გაზიარებული „ბიოგრაფია“ კი დაახლოებით ასეთია: მზე წარმოიშვა კოსმოსური აირ – მტვრის ერთ-ერთი კომპლექსის (ნისლეულის) გრავიტაციული კუმშვის შედეგად დაახლოებით 5 მლრდ წლის წინათ. მზის სისტემის ყველა დანარჩენი ამჟამად ცნობილი სხეული: დიდი პლანეტები, მათი თანამგზავრები, კომეტები, ასტეროიდები და ა.შ. შეიქმნნენ მოგვიანებით ამ კომპლექსის იმ ნარჩენი მატერიისაგან, რომელიც ამ ნისლეულის კუმშვის დასრულებისას არ მოექცა მზის შემადგენლობაში, ანუ დარჩა მის გარე სივრცეში. მზის სისტემის შექმნის პროცესის საწყის მომენტად კი (აქ „სისტემაში“ უკვე მხოლოდ მზის გრავიტაციულ ტყვეობაში მყოფ სხეულთა ერთობლიობა იგულისხმება, მზის გამოკლებით!) მეცნიერები თვლიან იმ მომენტს, როცა ახალწარმოშობილი

მზის ირგვლივ გრიგალისებური მორევის სახით მბრუნავი მტვრისა და აირის დარჩენილი ნაწილის კრისტალიზაციით პირველი სამთო ქანები წარმოიქმნნენ. თანაც მიჩნეულია, რომ ეს მოხდა თანამედროვე ეპოქაზე 4,5673 მილიარდი წლით ადრე. ჩვენი პლანეტა კი წარმოიშვა ამ პირველადი ქანებისაგან, მზის სისტემის წარმოშობის პროცესის დასაწყისიდან 20 – 30 მლნ წლით გვიან. ამის შემდგომ პერიოდში კი, როგორც მკვლევრები ფიქრობენ, დაახლოებით მარსის ზომის პროტო-პლანეტა, რომელსაც მეცნიერები პირობითად „თეიას“ უწოდებენ, შეეჯახა უკვე არსებულ პროტო (ანუ წინარე) დედამიწას, რამაც გამოიწვია ორივე ამ სხეულის აორთქლებული ნამსხვრევების გატყორცნა გარემომცველ კოსმოსში. შემდგომში ამ ნამსხვრევთა თანმიმდევრული შეერთების შედეგად წარმოიქმნა მთვარე.

არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოქიმიკოს მ. ბარბონის აზრით ამ დაჯახებამ დიდი როლი შეასრულა ადრინდელი დედამიწის არამყარი ბრუნვის დასტაბილურებაში, ასევე გააღღო ჩვენი პლანეტის ზედაპირული ფენები და მდგრადი გახადა მისი ახალჩამოყალიბებული გამდნარი მდგომარეობა. მთვარის წარმოშობა კი ათარიღებს პროტოდედამიწისა და თეიას შეჯახებისას ახლად ფორმირებულ ჩვენს პლანეტას და არა მის წინარე მდგომარეობას (ამჟამინდელი მიდგომით – პროტოდედამიწას).

რაც შეეხება მთვარეს, მისი ზედაპირული ფენები, მთვარის წარმოქმნის ზემომინიშნებული პროცესიდან გამომდინარე, ასევე გამდნარი იყო. „აპოლონ“ მისიის მიერ შეგროვებულ მთვარის ნივთიერების ნიმუშებს შორის არის მსუბუქი, კრისტალებით მდიდარი მაგმური ქანები, რომლებიც დიდხანს მთვარის საკუთარი მაგმური ოკეანის ნაშთები ეგონათ. მათი ასაკი 4,35 მილიარდი წელია, ანუ ისინი შეიქმნნენ მზის სისტემის შექმნის საწყისი მომენტიდან 200-მდე მილიონი წლის გასვლის მერე. ამიტომ ფიქრობდნენ, რომ მთვარეც სწორედ მათი ფორმირების მომენტში წარმოიშვა.

მაგრამ კალიფორნიის სანტა კრუცის უნივერსიტეტის პლანეტათმცოდნე მეცნიერის ფ.ნიმოს აზრით, ასეთი „ახალგაზრდა“ მთვარე არ ეთანხმება მზის სისტემის წარმოშობის პროცესის ხასიათს. თეიასთან შეჯახება უფრო ადრეულ მზის სისტემაში იქნებოდა ლოგიკური, როცა იუპიტერი და სხვა გიგანტი პლანეტები დიდ ორბიტულ რყევებს განიცდიდნენ. მათი გრავიტაცია დიდ კლდოვან სხეულებს ტყორცნიდა მზესთან მახლობელი შიდა

პლანეტებისაკენ. ორბიტული მოდელირება და დაკვირვებანიც მიუთითებს, რომ მზის სისტემა „დაწყნარდა“ პირველივე 100 მილიონ წელიწადში (ფ.ნიმო). 200 მლნ წლის მერე კი მისი გაფორმების პროცესი უკვე დასრულებული იყო. მ.ბარბონის აზრით, თანამედროვეობიდან 4,3 მლრდ წლის წინათ დედამიწის ზედაპირთან უკვე იყო თხიერი წყალი და პოტენციურად მანტიამი ჩაძირული ტექტონიკური ფილები. ორივე ეს მოვლენა ნაკლებალბათურია თეიას მიერ დედამიწის ზედაპირის მაგმად გადაქცევიდან 50 მილიონი წლის მერე.

მ. ბარბონის ერთ-ერთ პირველს შეუქმნია ახალგაზრდა მთვარის მოდელი. 2017 წელს მან „Science Advances“-ში გააანალიზა „აპოლონ 14“-ის ქანთა ნიმუშებიდან ცირკონიუმის რვა კრისტალი, იმაზე დაყრდნობით, რამდენი ურანი დაიშალა ტყვიად, მოდელირების რამდენიმე დაშვებით, მან დაასკვნა, რომ მთვარე 4,51 მლრდ წლისაა.

მეორე წინააღმდეგობა მთვარის სიახალგაზრდავის მოსაზრებისადმი გამოიკვეთა 2019 წელს ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის გეოქიმიკოსის, მ. ტიმენსის ნაშრომიდან „Nature geoscience“-ში. მისმა ჯგუფმა აღმოაჩინა ვოლფრამის მსუბუქი იზოტოპი „აპოლონის“ ნიმუშებში და დაასკვნა, რომ იგი წარმოშობილია ამაჟამად უკვე გამქრალი ჰაფნიუმისაგან, რომელიც მზის სისტემის ისტორიაში მხოლოდ პირველი 60 მილიონი წლის განმავლობაში არსებობდა. მაშასადამე ამავე პერიოდში უნდა ეარსება მთვარესაც, ანუ იგი ზემოთ ნაგულისხმევზე უფრო ხანდაზმულია.

კლაინმა იგივე დასკვნა სხვა გზით მიიღო: დაათარიღა მთვარის ქანები მთვარის მინერალებში რუბიდიუმის სტრონციუმად ძალიან ნელი დაშლის პროცესის მიხედვით. სიძნელე აქ იმის მიხვედრაში მდგომარეობდა, თუ რამდენი იყო თითოეული ამ ორი ელემენტთაგანი თავიდან როგორც პროტოდედამიწაში, ასევე თეიაში, და, შემდეგ, მთვარის რამდენი „ნაწილი“ წარმოიქმნა თითოეული ზემონახსენები კოსმოსური სხეულიდან. ეს მეცნიერებები მივიდნენ მთვარის ამაჟამად საერთო – გავრცელებულ ასაკამდე. კლაინი ამ სიდიდისათვის 4,5 მლრდ წელს ასახელებს.

3. ბნელი ენერგია – ახალი ეტაპი გაფართოებადი სამყაროს თეორიის განვითარებაში

1. მეტაგალაქტიკა და სამყარო

ყველამ, ვინც დაინტერესებულია კოსმოლოგიით, ანუ სამყაროს ევოლუციის თეორიით, იცის, რომ ამ მეცნიერებამ კაცობრიობის

ისტორიაში სხვადასხვა საფეხურები გაიარა. თავდაპირველად, საუკუნეთა განმავლობაში, ჭარბობდა მეტ-ნაკლებად საინტერესო, მაგრამ დაუსაბუთებელი მოსაზრებები მატერიის სივრცული განაწილებისა და მის სხვადასხვა სახეობათა ურთიერთობის, ასევე დროის მსვლელობაში სამყაროს სახის ცვალებადობის შესახებ. პარალელურად თანდათან ვითარდებოდა ასტრონომიულ დაკვირვებათა მეთოდები და იქმნებოდა სულ უფრო და უფრო მაღალი სიზუსტის დასამზერი ინსტრუმენტები, რომელთა შემწეობით ასტრონომთა მრავალი თაობა ქმნიდა დამზერადი სამყაროს სულ უფრო ვრცელ და ზუსტ სურათს. მეტ-ნაკლები სიზუსტით შესწავლილ იქნა მზე და მზის სისტემის ობიექტთა სხვადასხვა კლასები, ასევე ვარსკვლავები და მათი სისტემები, რომელთა შორის ყველაზე დიდმასშტაბოვანნი და მათში შემავალ ობიექტებში მიმდინარე ფიზიკურ პროცესთა მიხედვით ყველაზე საინტერესო სხვადასხვა სახის ვარსკვლავთა გროვები, ასევე გალაქტიკები და გალაქტიკათა სისტემებია. ამ სისტემათა ერთობლიობა ქმნის ასტრონომიულ ობიექტთა ყველაზე ვრცელ სიმრავლეს – მეტაგალაქტიკას. ეს უკანასკნელი თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით სამყაროს ცნების ტოლფასად მიიჩნევა, რამდენადაც მხოლოდ იგია მისაწვდომი ყველაზე სრულყოფილი დაკვირვებებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველაზე რთული თეორიული დარგებისა თუ მეთოდებისათვის. თუმცა იგულისხმება, რომ პირველადი აზრით ცნება „სამყარო“ უნდა ნიშნავდეს ფიზიკურ სხეულთა გაცილებით მრავალფეროვან და განუზომლად უფრო დიდ სივრცეში განფენილ, პრაქტიკულად დროითა და სივრცით შემოუსაზღვრელ ანუ უსასრულო მასშტაბებში განფენილ მატერიას. ოდონდ, ვიმეორებ, ამ უსასრულო სამყაროს უდიდესი ნაწილის კვლევა ან თუნდაც ფიზიკური ფიქსირება თანამედროვე მეცნიერების შესაძლებლობათა მიღმაა.

სამაგიეროდ, სულ უფრო ღრმავდება კვლევა მეტაგალაქტიკისა, რომელიც ფიზიკურად შემოსაზღვრულობის მიუხედავად მაინც პრაქტიკულად წარმოუდგენლად დიდია. მისი ნაპირებიდან სინათლის სხივი ჩვენამდე მოღწევას დაახლოებით 13,6 მილიარდ წელიწადს უნდება, რაც სამჯერ აღემატება დედამიწის ასაკს. ანუ მეტაგალაქტიკის უმორეს ციურ სხეულებს ჩვენ ვხედავთ მათი უძველესი წარსულის მდგომარეობაში, როდესაც მზის სისტემის სხეულებისა და, მათ შორის, დედამიწის წარმოქმნამდე ჯერ კიდევ 9 მილიარდი წელი რჩებოდა!

ამ წერილის დანარჩენი ტექსტი, ისევე როგორც კოსმოლოგიის სფეროს მეცნიერული ნაშრომები სწორედ მეტაგალაქტიკას ეხება, თუმცა მეცნიერები უმრავლეს შემთხვევაში მის ნაცვლად ხშირად სიტყვა „სამყაროს“ იყენებენ. ეს დასამახსოვრებელია.

2. გაფართოებადი მეტაგალაქტიკა

„ასტრონომიული კალენდრის“ მკითხველებმა კარგად იციან რომ:

1. მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ასტრონომიული დაკვირვებების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ მეტაგალაქტიკა სივრცულად ფართოვდება, ამიტომ ყოველი გალაქტიკის ჩვენგან დაშორების (ე.წ.სხივური) სიჩქარე ამ გალაქტიკიდან დამკვირვებელამდე მანძილის წრფივად ზრდადი ფუნქციაა.

2. აღნიშნული ფაქტი მეცნიერებმა თანდათან გაიაზრეს იმგვარად, რომ მეტაგალაქტიკამ არსებობა დაიწყო 13,6 მილიარდი წლის წინათ ზეცხელი, ზემკვრივი და ზემცირე ზომის მდგომარეობიდან, ე.წ. დიდი აფეთქების, იგივე დიდი ძვრის შედეგად, მას მერე კი განუწყვეტლივ ფართოვდება, ცივდება და თანდათან ნივთიერების სულ უფრო მცირე სიმკვრივის მდგომარეობებში გადადის.

3. გამოითქვა აზრი, რომ მეტაგალაქტიკის გაფართოების ტემპი ზოგად შემთხვევაში სულ უფრო უნდა ნელდებოდეს მისი შემადგენელი სხეულების გრავიტაციული ურთიერთქმედების შედეგად, თუმცა ამჟამინდელი მთლიანი საშუალო სიმკვრივის მიხედვით ეს გაფართოება შეიძლება იყოს ან უსასრულოდ განმლადი, ან გარკვეული დროის შემდეგ შეიცვალოს მეტაგალაქტიკის თანდათანობითი შეკუმშვით.

3. მეტაგალაქტიკის გაფართოება ჩქარდება?

ათწლეულთა მანძილზე თეორეტიკოსი მეცნიერები იკვლევდნენ დაკვირვების მონაცემებზე დაფუძნებული კოსმოლოგიის ცალკეულ საკვანძო საკითხებს, დამკვირვებლები კი აგრძელებდნენ უშორეს ციურ სხეულთა მდებარეობებისა და მოძრაობების დაწვრილებით შესწავლას, რაც აუცილებელი წინაპირობა იყო მეტაგალაქტიკის გაფართოების ხასიათის დასადგენად. და აი, 30-ოდე წლის წინათ, სპეციალური ტიპის ზეახალ ვარსკვლავებზე (ასე უწოდებენ ევოლუციის ბოლო სტადიაში ვარსკვლავის აფეთქების მოვლენას) დაკვირვებათა შედეგად გამოჩნდა პირველი მოულოდნელი მინიშნებები იმისა, რომ მეტაგალაქტიკის

გაფართოება კი არ ნელდება, არამედ, პირიქით, ჩქარდება. ეს სენსაციური აღმოჩენა თეორიულ ახსნას ითხოვდა, მომავალი ახალი თეორიის საკვანძო მოსაზრებებს კი სჭირდებოდა შემოწმება დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით. ამ მიმართულებით მრავალი ნაშრომი დაიწერა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ექსპერიმენტულ სამუშაოთა შედეგები გადმოცემულია ჟ. „Science“-ის ორ სტატიაში, რომლებსაც მოკლედ მიმოვიხილავთ.

4. მეტაგალაქტიკის გაფართოების ტემპის პირველი კვლევები.

ზემონახსენები სტატიებიდან პირველი გამოქვეყნდა ამ ჟურნალის 2024 წლის 12 აპრილის ნომერში (გვ. 144,145) და ეხება ე.წ. სტანდარტული კოსმოლოგიური თეორიის პირველ დაკვირვებით შემოწმებას. ეს თეორია 25-ოდე წლის წინათ შეიქმნა და მისი მთავარი მტკიცებაა დებულება, რომ სამყაროს შემადგენელი ნივთიერების მთლიანი მასის მხოლოდ $1/3$ – ზე ნაკლები არის მნათი ანუ ხილვადი, დანარჩენი $2/3$ ნაწილი კი ცივი ბნელი მატერიაა (შემოკლებულად, საწყისი ასობის მიხედვით – ცბმ, ინგლისურად – Cold Dark Matter, ინიციალებით CDM), იგივე “ბნელი ენერგია”. ამასთანავე, აღნიშნული თეორიის აზრით, მაშინ, როდესაც ხილული მატერიის გრავიტაციული ურთიერთმიზიდულობა მთლიანი სისტემის გაფართოების დამამუხრუჭებელი ფაქტორია, ბნელი მატერია, პირიქით, აჩქარებს აღნიშნულ გაფართოებას. ეს ნიშნავს, რომ საქმე უბრალოდ ამ ნივთიერების არანათობადობაში არაა. ჩვეულებრივ ნივთიერებას მიზიდულობის უნარი აქვს, მიუხედავად იმისა, ასხივებს იგი თუ არა. „ბნელ“ ნივთიერებას კი ყოველ მდგომარეობაში განზიდულობა უნდა ახასიათებდეს! ამას კი რაღაც დასაბუთება, ანუ ერთგვარი თეორიული გააზრება სჭირდება. მეცნიერებმაც განაცხადეს, რომ ცარიელ სივრცეს ხელშეუვალი ენერგია, სხვანაირად, დრეკადობა ანუ ელასტიურობა ახასიათებს, რომელიც ყოველი მიმართულებით განფანტავს სივრცეში არსებულ მატერიას (საინტერესოა ვიკითხოთ, რას „გაფანტავდა“ უმატერიო, ცარიელი სივრცე? ყველაზე ლოგიკური იქნებოდა გვეთქვა – თვით სივრცეს! ეს კი ტოლფასია მატერიის ცნების არსებითი განზოგადებისა!).

ყოველივე ნათქვამის შესაბამისად, ე.წ. სტანდარტულ კოსმოლოგიურ თეორიას CDM თეორია შეარქვეს. იმის გათვალისწინებით კი, რომ ანალოგიური მოსაზრებანი განზიდვის ძალების არსებობის შესახებ თავის დროზე ზოგადი ფარდობითობის თეორიის ავტორ ა.აინშტაინსაც ჰქონდა, რის გამოც მან სამყაროს

გეომეტრიული სტრუქტურის განმსაზღვრელ გრავიტაციული ველის საკუთარ განტოლებებში დამატებითი Λ (ლამბდა) წევრიც შეიტანა შესაყრების სახით (იგი სივრცის განზიდულობას შეესაბამებოდა და მატერიის მიზიდულობის საწინააღმდეგო „დანიშნულება“ ჰქონდა!), ამ თეორიის საბოლოო სახელად „ლამბდა-CDM თეორია“ იქცა. იმას, რომ თავის დროზე (მეოცე საუკუნის დასაწყისში) ა.აინშტაინმა თავისი განტოლებებიდან Λ წევრი მალევე ამოაგდო და შემდგომში აღარც გამოუყენებია, თანამედროვე მეცნიერები აღარ ითვალისწინებენ, და ამაში მათ მეცნიერების განვითარების ასეთი მოულოდნელი შემობრუნებაც (მეტაგალაქტიკის შესაძლოაჩქარებული გაფართოება) ეთანხმება.

ყოველივე ამის მერე კი საჭირო გახდა შემდგომი ნაბიჯის გადადგმა: სპეციალურ დაკვირვებებს უნდა შეემოწმებინათ სივრცის განმავითარებელი, „განმზიდავი“ ძალის არსებობა, ამას კი სჭირდებოდა უშორეულეს გალაქტიკებამდე არსებულ მანძილთა უზუსტესი განსაზღვრები, და ასევე ამ ობიექტთა სივრცული განაწილების ზუსტი რუკების შედგენაც, რაც აქამდე არსებული იარაღების შესაძლებლობებს აღემატებოდა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად შეიქმნა ძალიან ზუსტი ხელსაწყო DESI (ინიციალები სახელწოდებისა Dark Energy Spectroscopic Instrument, ქართულად: ბნელი ენერგიის სპექტროსკოპული ინსტრუმენტი, ბესი). იგი იკვლევს ბნელი ენერგიის ევოლუციას დროის მსვლელობაში გალაქტიკათა სივრცული განაწილების უზუსტესი რუკების შედგენით. აქამდეც ცნობილი იყო, რომ გალაქტიკებს ახასიათებთ არა თანაბარი სივრცული განაწილება, არამედ სწრაფვა შეჯგუფებებისკენ. კოსმოლოგთა აზრით, დიდი ძვრის შემდეგ, უძველეს აირში გავრცელდა ბგერითი (აკუსტიკური) რხევები (ოსცილაციები) და მათ აიძულეს ნივთიერების ნაწილაკები – ბარიონები შეჯგუფებებად გაერთიანებულიყვნენ. როცა აირი გაცივდა, ბარიონთა აკუსტიკური ოსცილაციები (ბაო, BAO) გაიყინნენ და ამ უზარმაზარი „ლოდებისაგან“ წარმოიშვა გალაქტიკები და მათი გროვები. ამჟამად კი აღნიშნული რხევები ვლინდება ტენდენციაში, რომ გალაქტიკათა გროვებს შორის მანძილები დაახლოებით 490 მილიონი სინათლის წელიწადის ფარგლებში იყოს.

DESI აიგო აღნიშნულ აკუსტიკურ ოსცილაციათა გასაზომად. იგი იყენებს კიტ პიკის (არიზონა) 4მ-იან ტელესკოპს და სპექტროსკოპს, რომელიც კრებს ერთდროულად ათასობით გალაქტიკის სინათლეს, შლის თითოეულ მათგანს სპექტრად, ზომავს სპექტრულ ხაზთა λ ტალღის სიგრძეებს და მათი შედარებით

დამკვირვებლისადმი უძრავი გამოსხივების წყაროს სპექტრული ხაზების λ_0 (ლაბორატორიულ) ტალღის სიგრძეებთან ითვლის ხაზთა დოპლერიულ წანაცვლებებს, გამოწვეულს გალაქტიკების რადიალური დაშორებით, რომლებიც პირდაპირპროპორციულნი არიან ჩვენგან გალაქტიკებამდე მანძილისა (ჰაბლის კანონი). ამნაირად დგინდება გალაქტიკებამდე მანძილები და ხერხდება გალაქტიკათა სივრცული განაწილების დადგენა.

DEZI –ს 900 მდე თანამშრომელმა 2019 წლიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა. უკვე პირველი წლის კვლევა 6 მილიონამდე გალაქტიკას მოიცავდა, რომლებიც გადაღებულია 9 მილიარდზე მეტი წლის წინანდელ მდგომარეობაში. უფრო ძველი ეპოქების შესახებ ინფორმაციის შესაკრებად დაამატეს 700 000-ზე მეტი კვაზარი – ზემასიური შავი ხვრელების მეოხებით მნათი გალაქტიკების ზეკაშკაშა გულები, რომლებიც მეტაგალაქტიკის ყველაზე დაშორებულ უბნებში არიან განლაგებულნი, ანუ მოჩანან უძველესი ხანის მდგომარეობაში.

DESI-ს საწყისი კვლევების თანახმად, მილიარდი წლების განმავლობაში მეტაგალაქტიკა ფართოვდებოდა λ – CDM კოსმოლოგიის შესაბამისად. თუმცა გამოვლინდა გაფართოების ტემპის მცირე ცვლილებანიც, კერძოდ, დროთა განმავლობაში მისი მცირე ცვლილების ტენდენციაც. მეცნიერები ელოდნენ ამ შედეგთა დაზუსტებას DESI-ს 3-წლიანი დაკვირვებების შედეგად, და ასევე მაღალი შესაძლებლობის სხვა ახალ ინსტრუმენტებზე დამყარებული კვლევებითაც.

ახალ კვლევათა შედეგები მიმოხილულია ზემოხსენებულ დ. კლერის მიმოხილვით სტატიაში: („Science”, 21.3.2025). დადასტურებულია, რომ მეტაგალაქტიკა წარსულში უფრო მაღალი ტემპით ჩქარდებოდა, ვიდრე ეს ჩვენს ეპოქაში ხდება. მკვლევართა ნაწილი აღფრთოვანებულია ამ შედეგით (მაგალითად, ბ. ჯეინი, პენსილვანიის უნივერსიტეტი), და მასში კოსმოლოგიის გაღრმავებას ხედავს, ზოგს კი საეჭვოდ ეჩვენება ბნელი ენერგიის ამგვარი ყოფაქცევა (ე. კავიზერი, რუტგერსის უნივერსიტეტი). სხვა მკვლევართა ცნობით, ატაკამას კოსმოლოგიური ტელესკოპის (ჩილე) ტალღის სიგრძეთა მმ-იან ინტერვალში მოქმედი ინსტრუმენტის გუნდმა გამოაქვეყნა დიდი აფეთქების ყველაზე ადრინდელი ხილული ექოების, ე.წ. მიკროტალღოვანი ფონის (იგივე რელიქტური ანუ ნარჩენი, ერთგვაროვანი და იზოტროპული გამოსხივება) შესწავლის შედეგები. λ -CDM თეორიიდან გადახრები არ შეუნიშნავთ.

ისე კი DESI-ს მკვლევართა მონაცემებიც ადასტურებდნენ ამ შესაბამისობას, სანამ კვლევა კოსმოსის ისტორიის შუა პერიოდს (მეტაგალაქტიკის ნახევარ რადიუსის მახლობლობაში განლაგებულ გალაქტიკებს) ეხებოდა. მაგრამ როცა მათ დაამატეს სხვა მანძილებზე განლაგებულ ობიექტთა კვლევის შედეგებიც, ანუ სხვა ეპოქებიდან მომდინარე გამოსხივებათაგან მიღებული ინფორმაცია (მიკროტალღოვანი ფონი, გალაქტიკათა გროვები და ბნელი მატერიის აგლომერაციები), სურათი შეიცვალა და გამოიკვეთა ბნელი ენერგიის აქტიურობის კლება დროის მსვლელობაში.

მაგრამ ჯერ ყველაფერი ნათელი არაა. კერძოდ, ბნელი ენერგიის აღმწერი ძირითადი პარამეტრია w – ამ ენერგიის წნევის ფარდობა მისსავე სიმკვრივესთან. λ -CDM თეორიის მიხედვით w უცვლელია დროის მსვლელობაში და უდრის -1 -ს, DESI-ს ანალიზით კი w ნაკლები იყო -1 -ზე უშორეს წარსულში და შემდგომ ნელა იზრდებოდა – $0,8$ -მდე (თანამედროვე ეპოქა). აღნიშნავენ, რომ დამატებითმა 2 -წლიანმა დაკვირვებებმაც კი ვერ მოუპოვეს ამ შედეგს სტატისტიკური დამაჯერებლობა.

$w < -1$ შემთხვევა განსაკუთრებით აუჭვებთ, რადგან კოსმოლოგიური მუდმივას თეორიულად ყველაზე ღრმად შესწავლილ სახეობაში w მუდამ -1 -ზე მეტი რჩება. ამიტომ ზოგი მკვლევარი არ ჩქარობს DESI-ს შედეგების აღიარებას – ურჩევნიათ ჯერ კიდევ ორი შემდგომი წლის დაკვირვებები დამუშავდეს, და ასევე დავიცადოთ, რა შედეგს მიიღებენ სხვა ახალი ინსტრუმენტები: ევროპის კოსმოსური ტელესკოპი ევკლიდე, ვერა კ. რუბინის ობსერვატორია (აშშ-ს ტელესკოპი, დადგმული ჩილეში) და სხვ.

დასასრულ, კვლევის ამ ახალ სფეროზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე ეხება ურთულეს ამოცანას – მთელი დამზერადი სამყაროს სტრუქტურისა და დინამიკის როგორც თეორიულ, ისე დაკვირვებით ასპექტთა შესწავლას. ამ ორი მდგენელის შეთანხმებულობის მიღწევა კაცობრიობის მთელი გონებრივი მონაპოვრის გამოყენებითაც კი შეიძლება ვერ მოხერხდეს ათწლეულებისა თუ ასწლეულების განმავლობაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერად რთული თეორიებიც კი რეალური სამყაროს მხოლოდ უაღრესად გამარტივებულ შემთხვევებს იხილავენ.

და მაინც, ყველა შემთხვევაში, მრავალი მეცნიერის აზრით, უკვე დგება „ბნელი ენერგიის“ ძალიან მნიშვნელოვანი ათწლეული.

ეგზოპლანეტები და მათი ძიება საქართველოში

თ. კვერნაძე

შესავალი

ადამიანების ყველაზე მოაზროვნე ნაწილს მუდამ აინტერესებდა, არსებობს თუ არა სიცოცხლე სამყაროში კიდევ სადმე დედამიწის გარდა. ზოგიერთ ცივილიზაციებში გარდა ზე-ბუნებრივი, ღვთაებრივი გამოვლინებების მიმართ რწმენისა, არსებობდა სამყაროში მატერიისაგან შედგენილი, მაგრამ არადედამიწისული გენეზისის მქონე არსებათა წარმოშობის შესაძლებლობის რწმენაც. ოღონდ იმის დაუშვებლად, რომ სამყაროს ზომა უსასრულოჯერ აღემატება დედამიწის მასშტაბებს, ასეთი მსოფლმხედველობის ჩასახვა შეუძლებელი იქნებოდა.

ყველაზე ადრინდელი შეხედულებები სამყაროს უსასრულობის შესახებ მიეკუთვნება ძველ ბერძენ ფილოსოფოს ანაქსიმანდრეს (ჩვ. წ.-მდე 610 – 546), რომელიც ცნობილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის და „დასავლური ფილოსოფიის მამის“, თალესის (ჩვ. წ.-მდე 623 – 546) მოწაფე იყო. თალესის შეხედულებით, დედამიწა ბრტყელია და ცურავს წყლის უსასრულო ოკეანეში, რომელიც არის ყველაფრის სათავე.

ანაქსიმანდრე იყო მეცნიერული ცოდნის ერთ-ერთი პირველი მიმდევარი. თალესის იდეების გარდა მისი კოსმოლოგიური შეხედულებები ასევე ეფუძნებოდა ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ ბაბილონური ძველი ცივილიზაციების ცოდნას [1, 2]. მას მიაჩნდა, რომ სამყარო ეფუძნება გარკვეულ კანონზომიერებებს, ისევე, როგორც ადამიანთა საზოგადოება და ნებისმიერი რამ, რაც არღვევს ბალანსს, ვერ გასტანს დიდხანს. მას მიაჩნდა, რომ სამყაროში ყველაფრის სათავე არის უსასრულობა.

ანაქსიმანდრეს იდეები მოგვიანებით განავრცო კიდევ ერთმა ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა ანაქსაგორამ (ჩვ. წ.-მდე 500-428). ის ამტკიცებდა, რომ მზე და ვარსკვლავები გავრვარებული სხეულებია, ხოლო მთვარე – დედამიწის მსგავსი მყარი სხეული. ანაქსაგორას მიაკუთვნებენ ე.წ. „პანსპერმიის“ იდეას, რომლის თანახმად სამყაროში სიცოცხლე არსებობს ბევრგან და ე.წ. სიცოცხლის სპორების გადატანით შეიძლება გავრცელდეს ყველა ციურ სხეულზე.

სამყაროს უსასრულობისა და მრავალი სამყაროს ანუ მულტივერსის არსებობის იდეა (ე.წ. „კოსმოსური პლურალიზმი“) ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნეში განავითარა ე.წ. „ატო-

მისტების“ (ლუციპუსი, დემოკრიტე და ეპიკური) ჯგუფმა. კოსმოსური პლურალიზმის იდეების მიმდევარი იყო ასევე რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ლუკრეციუსი (ჩვ. წ.-მდე 99-55), რაც აღწერა კიდეც თავის პოემაში „სამყაროს ბუნების შესახებ“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოაზროვნეები ანტიკურ ხანაში საკმაოდ ცნობილი და აღიარებული ადამიანები იყვნენ, მათი ოპონენტების – პლატონისა და არისტოტელეს იდეებმა უფრო ფართოდ მოიკიდეს ფეხი მაშინდელ საზოგადოებაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ დედამიწა ერთადერთი და უნიკალური ციური სხეულია სამყაროში და მსგავსი სისტემები სხვაგან არ არსებობს. შედეგად, კოსმოსური პლურალიზმის იდეა დავიწყებულ იქნა თითქმის ათასი წლით.

თუმცა, ადრეულ შუა საუკუნეებში ცალკეული მოაზროვნეები კვლავ უბრუნდებიან ამ იდეებს. ერთ-ერთი პირველი ამ მიმართებით იყო არაბი სწავლული მუჰამად ალ ბაქირი (676-733), რომელიც ამტკიცებდა, რომ ღმერთმა შექმნა არა მარტო ერთი დედამიწა და ერთი კაცობრიობა. მისი აზრით არსებობდა ათასობით ასეთი სამყარო [3].

ევროპაში კოსმოსური პლურალიზმის იდეები კვლავ ჩნდება მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში (ავგუსტინელების რადიკალური ფრთა), რასაც კათოლიკური ეკლესიის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მაგრამ, უკვე მე-14 საუკუნიდან თავად რელიგიურ მოღვაწეთა წრეშიც ჩნდებიან ამ იდეების მხარდამჭერები და მათ შორის უპირველეს ყოვლისა ფრანგი ფილოსოფოსი და ლიზუს ეპისკოპოსი ნიკოლ ორესმე (1325-1382) და გერმანელი კათოლიკე ეპისკოპოსი, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი ნიკოლაუს კრეზისი (ნიკოლაუს კუზანელი, 1401-1464).

აღნიშნულმა შეხედულებებმა მოამზადეს საფუძველი მე-16 საუკუნის დასაწყისში პოლონელი მათემატიკოსისა და ასტრონომის ნიკოლოზ კოპერნიკის (1473-1543) მიერ მზის სისტემის ჰელიოცენტრული აგებულების პრინციპების შექმნისათვის.

კოპერნიკის მთავარი ნაშრომი, მიძღვნილი ჰელიოცენტრიზმის თეორიისადმი – „ციური სფეროების ბრუნვის შესახებ“ (On the Revolutions of the Celestial Spheres), გამოქვეყნდა 1543 წელს მისი სიკვდილის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ჰელიოცენტრიზმი მოგვიანებით საყოველთაოდ იქნა აღიარებული, მისი გამოქვეყნებიდან 60 წლის განმავლობაში ასტრონომთა უმნიშვნელო რაოდენობა თუ იზიარებდა და ემხრობოდა მას. მათ შორის, პირველ რიგში აღსანიშნავია ჯორდანო ბრუნო, გალილეო გალილეი და იოჰან კეპლერი.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჰელიოცენტრიზმის იდეა ისტორიულად შემორჩენილი დოკუმენტების მიხედვით პირველად წამოაყენა ძველმა ბერძენმა ასტრონომმა და მათემატიკოსმა არისტარქემ (ჩვ.წ.-მდე 310-230). ის ასევე ემხრობოდა ანაქსაგორას იდეას, რომ მზე ისეთივე გავრვარებული სხეულია, როგორც ვარსკვლავები. საკუთარი დაკვირვებების საფუძველზე, მან შეაფასა მთვარის, დედამიწისა და მზის ფარდობითი ზომები, აგრეთვე დედამიწიდან მთვარისა და მზის ფარდობითი მანძილები.

რენესანსის დროინდელი კოსმოსური პლურალიზმის ყველაზე ტრაგიკული ფიგურა გახლდათ იტალიელი ფილოსოფოსი ჯორდანო ბრუნო (1548-1600). მას მიაჩნდა, რომ სამყარო არის ერთადერთი, უსასრულო და უძრავი. ცაზე ხილული ვარსკვლავების გარშემო ბრუნავენ ციური სხეულები და სხვა „დედამიწები“, რომლებიც სიტბოს იღებენ საკუთარი ვარსკვლავებისგან. ისინი თავიანთი ბუნებით არ განსხვავდებიან დედამიწისგან და მათზე არსებობენ ცხოველები და სხვა არსებები. რადიკალური ფილოსოფიური და თეოლოგიური შეხედულებების გამო, ჯორდანო ბრუნო დააპატიმრეს 1592 წელს და გადასცეს ინკვიზიციის სასამართლოს. მისი საქმის განხილვა რვა წელიწადს გრძელდებოდა და საბოლოოდ იგი ერეტიკოსად ცნეს. მას მოსთხოვეს ყველა შეხედულების უარყოფა და დაგმობა, მაგრამ ჯორდანო ბრუნომ უარი განაცხადა და იგი 1600 წელს სიკვდილით დასაჯეს.

მე-17 და მე-18 საუკუნეებში კოსმოსური პლურალიზმი ყველაზე პოპულარული თემა იყო საზოგადოებაში და მრავალი მიმდევარი ჰყავდა სამეცნიერო თუ სხვა წრეებში. თუმცა, ექსპერიმენტული შედეგების უქონლობის გამო, ეს საკითხები წმინდა ფილოსოფიური და თეოლოგიური მსჯელობის საგანი იყო.

მე-20 საუკუნეში დაკვირვებითი ტექნოლოგიებისა და მეთოდების განვითარებასთან ერთად, კოსმოსური პლურალიზმის მთავარი ამოცანები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ა) მზის სისტემის შიგნით ციურ სხეულებზე დღეს არსებული სიცოცხლის ფორმების ან წარსულში არსებული მისი ნაშთების ძიება და ბ) სხვა ვარსკვლავების გარშემო პლანეტური სისტემების აღმოჩენა და შესწავლა.

არამზისიერ პლანეტათა აღმოჩენების ისტორია

სხვა ვარსკვლავების გარშემო არსებული პლანეტური სისტემების, კერძოდ კი მზის სისტემის გარეთ ცალკეული პლანეტების ანუ „ეგზოპლანეტების“ დაკვირვებითი მეთოდებით შესწავლა მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო. პირველი ეგზოპლანეტა

შენიშნეს 1988 წელს, თუმცა მისი დადასტურება მოგვიანებით, 2003 წელს მოხდა. ამიტომ, პირველი ეგზოპლანეტის აღმოჩენის თარიღად 1992 წელი ითვლება, როდესაც რადიოასტრონომებმა ალექსანდრე ვოლშჩანმა და დეილ ფრეილმა გამოაქვეყნეს მილიწამიანი პულსარის PSR B1257+12 რადიო დიაპაზონში დაკვირვების შედეგები და განაცხადეს მის გარშემო დედამიწისოდენა მასის 2 პლანეტის აღმოჩენის თაობაზე. ითვლება, რომ ეს პლანეტები გაჩნდა ზეახალი ვარსკვლავის აფეთქების შემდეგ, რამაც წარმოშვა თავად პულსარი, ხოლო აფეთქების შედეგად წარმოშობილი ნარჩენებისგან ჩამოყალიბდნენ თვით ეგზოპლანეტები.

კიდევ ერთი ასეთი ეგზოტიკური ობიექტის, პულსარ PSR B1620-26 b -ს გარშემო 1993 წელს სტივენ ტორსეტმა და მისმა კოლეგებმა ასევე აღმოაჩინეს ეგზოპლანეტა [5].

მიშელ მაიორმა და დიდიე ქელოცმა 1995 წელს აღმოაჩინეს მთავარი მიმდევრობის ნაკლებად ეგზოტიკური მზის ტიპის ვარსკვლავ 51 Peg -ის გარშემო მოძრავი იუპიტერის მასის პლანეტა [6].

თანამედროვე ეპოქაში დაკვირვებითი ტექნიკის განვითარებამ და კოსმოსური ტელესკოპების გამოყენებამ მკვეთრად დააჩქარა ეგზოპლანეტების აღმოჩენის პროცესი. დღეისათვის აღმოჩენილი და დადასტურებულია 6000-ზე მეტი პლანეტა 4490 სხვადასხვა პლანეტურ სისტემაში.

ეგზოპლანეტები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ზომებით, მასებით, ცენტრალური ვარსკვლავისგან დამორებით, ბრუნვის პერიოდით და სხვა. დღემდე აღმოჩენილი ყველაზე მცირე მასის მქონე პლანეტას უწოდეს „დრაუგრი“ და ის გარემოიქცევა ზემოთ ნახსენები პულსარის PSR B1257+12 გარშემო, ხოლო მისი მასა მხოლოდ ორჯერ მეტია მთვარის მასაზე. ყველაზე დიდი მასის მქონე პლანეტა არის HR 2562 b, რომლის მასა 30-ჯერ აღემატება იუპიტერისას და იგი შესაძლოა წარმოადგენდეს ე.წ. „ყავისფერ ჯუჯას“.

ეგზოპლანეტები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ვარსკვლავისადმი გარემოქცევის პერიოდით, რომელიც იცვლება რამდენიმე საათიდან ათასობით წლამდე. ზოგიერთი ეგზოპლანეტა იმდენად შორს არის ცენტრალური ვარსკვლავისგან, რომ ძნელია თქმა, არსებობს თუ არა მათ შორის გრავიტაციული ბმა.

დედამიწიდან ყველაზე მახლობელი ეგზოპლანეტა გარემოიქცევა ასევე ყველაზე მახლობელი ვარსკვლავის, კენტავრის

უახლოესის გარშემო და ჩვენგან დაშორებულია 4.2 სინათლის წლით [7].

ეგზოპლანეტების ძიება საქართველოში

ეგზოპლანეტების ძიება აბასთუმანში, საქართველოს ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში, დაიწყო 2022 წელს. ამ მიზნით გამოვიყენეთ აშშ-ს აერონავტიკისა და ეროვნული კოსმოსური სააგენტოს (NASA) კოსმოსური ტელესკოპის TESS [8] დაკვირვებითი მონაცემები, რომლებიც გამოირჩევა ძალიან მაღალი სიზუსტით და დაკვირვებების ხანგრძლივი დიაპაზონით. აღნიშნული კოსმოსური ტელესკოპის არქივი შეიცავს მილიონობით ვარსკვლავის შესახებ დაკვირვებით მონაცემებს და ყველა მათგანის დამუშავება შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, დღეისათვის მსოფლიოში სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებში მრავალი სამეცნიერო ჯგუფი მუშაობს ანალოგიური ამოცანების გადასაწყვეტად. კვლევის ოპტიმიზაციის და შედეგების რეალისტურ დროში მიღების მიზნით საჭიროდ ჩავთვალეთ კვლევის არეალის შევიწროება.

პირველ რიგში, შევარჩიეთ ისეთი ობიექტები, რომლებიც დღეისათვის შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი, კერძოდ, B სპექტრული კლასის ვარსკვლავები. ასევე, შევზღუდეთ ცის არე საკვლევი ვარსკვლავების რაოდენობის შესამცირებლად.

ასეთი სახის კვლევის განსახორციელებლად აუცილებელია ვარსკვლავთა ბაზისური მონაცემების კატალოგის ქონა. ჩვენ საწყის კატალოგად გამოვიყენეთ აბასთუმნის ობსერვატორიაში დოქტორ ქეთევან ჩარგეიშვილის მიერ 1988 წელს შესრულებული შრომა „გალაქტიკის ანტიცენტრის მიმართულებით 6037 ვარსკვლავის სპექტრული და ნათობის კლასების კატალოგი“. აღნიშნული კატალოგი ფარავს 140 კვადრატულ გრადუსიან არეს გალაქტიკის სიბრტყეში, ზუსტად ანტიცენტრის მიმართულებით. კატალოგში შესული ყველა ვარსკვლავისათვის მოცემულია ეკვატორული კოორდინატები, რაც აადვილებს TESS-ის კატალოგთან ვარსკვლავების ჯვარედინ იდენტიფიკაციას. ამ მიზნით მონაცემთა ბაზის ADSQL პროგრამირების ენაზე შევქმენით სპეციალური კოდი, რომლის გამოყენებით ქ.ჩარგეიშვილის, TESS-ის და Gaia-ს [9] კატალოგების მონაცემებით შევადგინეთ კრებისითი კატალოგი.


მიღებული კრებისითი კატალოგი შესაძლოა გაიფილტროს სხვადასხვა მონაცემების დიაპაზონების მიხედვით. ჩვენს შემთხვევაში ფილტრაცია მოხდა B სპექტრული კლასის ვარსკვლავებით.

შედეგად მივიღეთ ქვეკატალოგი, რომელიც შეიცავს 2366 ვარსკვლავს.

აღნიშნული ვარსკვლავებისათვის TESS-ის არქივიდან ჩამოვტვირთეთ სიკაშკაშის ცვალებადობის მრუდები, რომლებიც დამუშავდა ჩვენს მიერ Python-ის ბაზაზე შექმნილი სპეციალური ინტერაქტიული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. აღნიშნული პროგრამა საშუალებას იძლევა: მოვახდინოთ ცალკეული ვარსკვლავის სიკაშკაშის მრუდის ვიზუალიზაცია, უხეში შეცდომებისგან გაწმენდა, პულსაციისა და ტრანზიტის მოვლენების ანალიზი და მათი განცალკევება, ტრანზიტული სიგნალის დამახსოვრება ცალკე ფაილის სახით შემდგომი დამუშავებისათვის.

საბოლოოდ, შევარჩიეთ რამდენიმე ათეული ახალი ორმაგი ბნელეხდი ცვალებადი ვარსკვლავი [10] და ერთი ეგზოპლანეტობის კანდიდატი – TIC 74487535.

აღმოჩენილი ახალი ეგზოპლანეტის სიკაშკაშის მრუდის ანალიზის შედეგად განისაზღვრა ცენტრალური ვარსკვლავის გარშემო მისი მიმოქცევის პერიოდი და საწყისი ეპოქა, რის საფუძველზეც აიგო ამ სისტემის სიკაშკაშის ცვლილების ფაზური მრუდი (იხ. სურათი 1).



სურათი 1. აღმოჩენილი ეგზოპლანეტობის კანდიდატის TIC 74487535 სიკაშკაშის ცვლილების ფაზური მრუდი. სრული ორბიტული პერიოდი შეადგენს 3.01 დღეს, ხოლო საწყისი ეპოქა – 2 459 476.35 [BTJD] დღეს.

ეგზოპლანეტობის ამ კანდიდატის ორბიტის ფიზიკური პარამეტრების დასადგენად მოვახდინეთ მიღებული ფაზური მრუდის მოდელირება ცნობილი პროგრამული უზრუნველყოფის AstrolmageJ მეშვეობით. ოპტიმალურმა მოდელმა მოგვცა ეგზოპლანეტის შემდეგი სავარაუდო პარამეტრები (იხ. ცხრილი 1).

სისტემის ID	TIC 74487535
R_p / R_*	0.0762
R_p / R_{Jup}	2.18
$R_p / R_{\oplus}$	23.9
a / R_*	4.6334
ორბიტის დახრა (deg)	83.9
u1	0.1
u2	0.0
პერიოდი, d	3.010
ტრანზიტის ცენტრი, d	2,459,476.133
სიდრმე, ppt	5.92
ტრანზიტის სრული ხანგრძლივობა t14, d	0.200462
წმინდა ტრანზიტის ხანგრძლივობა t23, d	0.163351
ტრანზიტში შესვლისა და გამოსვლის ხანგრძლივობა tau, d	0.018555
Teff, K	11,568
$R_*/R_{\odot}$	2.94
$\lg (L./L_{\odot})$	2.14
$M_*/M_{\odot}$	3.71
ρ (cgs)	0.208
RMS, ppt	1.1265

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ ეგზოპლანეტის რადიუსი 2.18-ჯერ აღემატება იუპიტერის რადიუსს და 23.9-ჯერ – ლედამიწის რადიუსს, რაც ნიშნავს, რომ იგი ე.წ. ცხელ სუპერ იუპიტერს წარმოადგენს. ვარსკვლავის ცენტრიდან პლანეტა დაშორებულია სულ რაღაც 10 000 000 კმ-ით, შედეგად მისი ზედაპირი ძალიან ცხელდება და იქ სიცოცხლის არსებობა სრულიად გამორიცხულია.

აღნიშნული ეგზოპლანეტის დასადასტურებლად და ფიზიკური ბუნების დასაზუსტებლად აუცილებელია მისი შემდგომი სპექტრული დაკვირვებები, რომელსაც ვგეგმავთ უახლოეს მომავალში, როგორც აბასთუმნის ახალი 1.5 მეტრიანი რობოტი ტელესკოპის, ასევე – უცხოეთის სხვადასხვა ობსერვატორიების ტელესკოპების გამოყენებით.

ლიტერატურა

1. C. Mosse (1984). *La Grèce archaïque d'Homère à Eschyle*. Édition du Seuil. p236
2. Graham, Jacob. *"Presocratics"*. *Internet Encyclopedia of Philosophy*
3. David A. Weintraub (2014). "Islam," *Religions and Extraterrestrial Life* (pp 161-168). Springer International Publishing.
4. Wolszczan, A.; Frail, D. A. (1992). "A planetary system around the millisecond pulsar PSR1257 + 12". *Nature*. **355** (6356): 145–147
5. *"Oldest Known Planet Identified"*. *HubbleSite*. Retrieved 7 May 2006.
6. Mayor, M.; Queloz, D. (1995). "A Jupiter-mass companion to a solar-type star". *Nature*. **378** (6555): 355–359.
7. Anglada-Escudé, Guillem; Amado, Pedro J.; Barnes, John; et al. (2016). *"A terrestrial planet candidate in a temperate orbit around Proxima Centauri"*. *Nature*. **536** (7617): 437–440.
8. Ricker, G. R., Winn, J., Vanderspek, R. et al. 2015, JATIS, 1, 014003
9. Gaia Collaboration, Vallenari, A., Brown, A. G. A., et al. 2023, A&A, 674, A1
10. Kvernadze, T. et al. Communications of BAO, Vol. 72, Issue 1, 2025, pp. 23-29

შინაარსი

წინასიტყვაობა სამოცდამეხუთე გამოცემისათვის	3
წლის დროების დასაწყისი	4
გთმეორეტი ქალაქის გაოგრაფიული კოორდინატები	4
ტაბულ-კალენდარი 2026 წ.	5
ასტრონომიული ნიშნები და აღნიშვნები	6
ბერძნული ანბანი	7
როგორ ვისარგებლოთ კალენდრით	7

ცვალებადი ნაწილი

მზის ეფემერიდები, მზის ამოსვლა-ჩასვლისა და ზაღა	
კულმინაციის მომენტები	22
მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მომენტები	46
მთვარის ფაზები	50
პაჟაჟა პლანეტების ხილვადობა	51
პაჟაჟა პლანეტების ეფემერიდები. მათი ამოსვლა-ჩასვლისა და ზაღა	
კულმინაციის მომენტები	58
სამოქალაქო და ასტრონომიული ბინდი და დღის ხანგრძლივობა	68
მზის დაბნელებანი 2026 წელს	70
მთვარის დაბნელებანი 2026 წელს	71
შესანიშნავი მეთოდური ნაკადები	72
ვარსკვლავთა საშუალო მდებარეობანი	73
ცვალებადი ვარსკვლავები	77
მონაცემები გრძელვადიანი ცვალებად ვარსკვლავებზე	
დაკვირვებისათვის	77
მონაცემები ბნელებადი-ცვალებადი ვარსკვლავის	
პერსეუსის β-ს დაკვირვებისათვის	78
გთმეორეტი თანავარსკვლავედის მდებარეობა ცაზე სხვადასხვა თვეში	81

მუდმივი ნაწილი

რეფრაქცია	83
რეფრაქციის შესწორება T ტემპერატურასა და B გარემოებულ წნევაზე	84
წნობები რამდენიმე უახლოესი ვარსკვლავის შესახებ	85
წნობები რამდენიმე უახლოესი ვარსკვლავის შესახებ	86
ორჯერადი ვარსკვლავები კომპონენტებს შორის გვეთრად	
ბანსხვავებული ფარებით	86
ორჯერადი ვარსკვლავები	87
ღია და სფერული გრძეობები	88
ბნელი, დიფუზური და პლანეტარული ნისლეულები	89

გალაქტიკები	90
ცნობები პლანეტებზე	91
ცნობები პლანეტათა თანამგზავრებზე	92
ცნობები დედამიწაზე, მზეზე, მთვარეზე	96
ზოგიერთი მნიშვნელოვანი სიდიდე	98
ფიზიკური მუდმივები	98
სიგრძისა და მანძილის ერთეულები	99
მათემატიკური სიდიდეები	99
თანაპარსკვლავების სახელწოდებანი და აღნიშვნები	100
საშუალო დროის შუალედის პარსკვლავიერ დროში	
გადასაყვანი ცხრილი	101
პარსკვლავიერი დროის შუალედის საშუალო დროში	
გადასაყვანი ცხრილი	102
რკალის გრადუსებისა და მიწუბების დროის საათებსა	
და წუთებში გადასაყვანი ცხრილი	103

დაშატებანი

სამყაროს შემცნობა ღრმავდება (ახალ აღმოჩენათა კვალდაკვალ)

1. პროგრესი არამიწიერი სიცოცხლის ძებნაში: მარსმაკალმა მზის სისტემის მესამე პლანეტის ნივთიერებაში ნახშირბადის შემცველ მოლეკულათა გრძელ ჯაჭვებს მიაგნო.
- 2 . მთვარე დაახლოებით დედამიწის ხნისაა?
3. ბნელი ენერგია – ახალი ეტაპი გაფართოებადი სამყაროს თეორიის განვითარებაში.

შ. საბაშვილი..... 104

ეგზოპლანეტები და მათი ძიება საქარტველოში

თ. კვერნაძე 118

